პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კაკვ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღიური

— ყლუმარეობა ჩინეთში გამოურკვეველია; მხარეთა შორის არ მომხდარა არავითარი შეთანხმება.

— ჩინეთის ხუნტამ განაცხადა, რომ მას ერთად-ერთი იმედი აქვს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის.

— იაპონიაში ამჟამად საშინელი ქარიშხალი, რომელმაც გაანადგურა მთელი მოსავალი.

— ფაშისტები განაგრძობენ იტალიაში სოციალისტური ორგანიზაციების დარბევას და კომუნისტების დევნას.

— ამ უკანასკნელ ხანებში ბერლინის პოლიციამ კვლავ დაატუსაღა კომუნისტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 211 (1066) სამშაბათი 16 სექტემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 211 (1066)

მოსყიდულები

დღეს მკითხველი ნახავს ჩვენ გაზეთში ცნობას ლონდონიდან იმის შესახებ, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადი და ინგლისის ეხლანდელი მთავრობის თავმჯდომარე მაკდონალდი ცნობილ სამრეწველო ფირმის „მაკვიტის ბრეისის“ აქციების მეპატრონე აღმოჩნდა.

ლონდონის პრესაში გამოქვეყნებულ ამ სენსაციურ ამბავზე კიდევ უფრო მეტად საყურადღებოა თვით მაკდონალდის განმარტება, რომელიც არაფერს სათაკილოს და სამარცხვინოს არ ხედავს ამაში. ის ამბობს, რომ მისი პირადი ცხოვრების მატერიალურად უზრუნველყოფისათვის მზრუნველობას იჩენენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

ის ძალიან სწუხს, რომ ზევით ხსენებული ფირმის დირექტორისთვის მეფის მიერ ბარონეტის ტიტულის მინიჭებას პრესა ხსნის მასთან მაკდონალდის კარგი განწყობილებით.

მაკდონალდი აღშფოთებული და შეურაცყოფილია. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ის თავის თავზე სწუხდეს! არა, მაკდონალდი „უანგარო“ კაცია და ძალიან ზრუნავს თავის მეგობარ კაპიტალისტების „კეთილ სახელზე და ღირსებაზე“.

ყველაფერი ეს სრულებით შეფერის და მშვენივრად ახასიათებს მეორე ინტერნაციონალის ბელადებს და მაკდონალდიც არ ღალატობს ამ ტრადიციებს. ისინი და მათ შორის მაკდონალდიც სცდილობენ ერთგულად ემსახურონ ბურჟუაზიას, ემსახურონ მას არა შიშით, არამედ სინდისის ქვეშ.

მათ სრულებითაც არ აშინებს ბრალდება მუშათა კლასის ინტერესების ღალატის შესახებ. მაკდონალდის განმარტება, ამ მხრივ ყოველგვარ ეჭვებს ფანტავს.

მე ძალიან შეწუხებული ვარ — ამბობს ის — გავრცელებული ხმებით, მაგრამ არა ჩემთვის, არამედ ჩემი მეგობრის კრანტისთვის. „მე უნდა დავიცვა ჩემი ძველი კეთილი მეგობარი, რადგან მან სრულებით დაიმსახურა ბარონეტის ტიტული, რომელიც მას მეფემ მიანიჭა“-ო, და ამნაირად სცდილობს აღადგინოს მისი მომსყიდველ კაპიტალისტის „კეთილი სახელი“. მუშათა კლასის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები მთელ მის წერილში.

მეორე ინტერნაციონალის მოღვაწენი ყოველ საკითხს ბურჟუაზიულ თვალსაზრისით უდგებიან და მუშათა კლასის ინტერესები კარგა ხანია უცხო გახდა მათთვის.

მეორე ინტერნაციონალის კავშირს საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციასთან და რუსეთის თეთრგვარდიელ გენერლებთან ადასტურებს ბორის სავინკოვის განცხადებანი საბჭოთა სასამართლოში და მისივე წერილი საპატიმროდან. ლონდონის პრესის ცნობები და მაკდონალდის განცხადებაც აგრეთვე ადასტურებს მეორე ინტერნაციონალის ბელადთა გამყიდველობას და ბურჟუაზიისაგან მათ პირად დამოკიდებულებას. ყოველივე ეს სრულებით ეგუება მეორე ინტერნაციონალის ბუნებას და საერთო პოლიტიკას. ამასვე მაკდონალდის წინასიტყვაობა მოწმობს, რომელიც მას დაუწერია თავის წიგნის („სოციალიზმი კრიტიკული და კონსტრუქტიული“) ახალი გამოცემისთვის. აქ ის კლასთა თანამშრომლობის მხურვალე დამცველათ გამოდის, გმობს გაფიცვებს და სამუშაო ხელფასის გადიდებისთვის ბრძოლას.

ბურჟუაზიული სამინისტროს პრემიერის სავარძელი ისეთი სასიამოვნო აღმოჩნდა მაკდონალდისთვის, რომ მისთვის ზომიერი პოლიტიკის მატარებელ ტრედიუნიონების პოლიტიკაც მიუღებელი ხდება.

ტყუილად სცდილობენ ტრედიუნის მოღვაწენი ახსნან მაკდონალდის მიერ კლასთა თანამშრომლობის პრინციპის აღიარება მისი დაღლილობით. ამ დაღლილობას სრულებით ხელი არ შეუშლია მისთვის დიდი მზრუნველობა გამოეჩინა მმართველი კლასების ინტერესების დაცვაში. **აქ საქმე დაღლილობაში არ არის. საქმე გამყიდველობაში, გამცემლობაში და მუშათა კლასისადმი სამარცხვინო ღალატშია.**

რაც უფრო მალე და უკეთ შეიგნებს ამას მსოფლიო მუშათა კლასი, მით უკეთესი მისთვის და მისი საქმის გამარჯვებისათვის.

მეორე ინტერნაციონალის ყოველდღიური „მოღვაწეობა“ ხელს უწყობს პროლეტარიატის გამოფხიზლებას და აახლოებს კომუნიზმის გამარჯვებას.

ისტორიის განაჩენი

მარქსი ამბობდა, აჯანყება ხელოვნებაა. ეს იმას ჰნიშნავს, რომ მუშათა ბრძოლის საქმეში დროისა და საშუალების შერჩევას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. როგორც ფიზიკურ ომებს ახასიათებს „ტაქტიკა და სტრატეგია“ ისევე ახასიათებს ეს ორი მომენტი აჯანყებასაც, ერთი კლასის გალაშქრებას მეორეს წინააღმდეგ. ხერხი სჯობია ღონესო, იტყვიან ჩვენში. გადატრიალების მიზანშეწონილ ხერხების გამონახვა აჯანყებულთათვის დიდ ღირებულების მქონეა და ბრძოლის საკითხის გადამწყვეტი.

მაგრამ „ხელოვნება“ ყოველთვის არაა საშიშროებას მოკლებული. ხერხი ყოველთვის ვერ სძლევს ღონეს. აჯანყებისათვის საჭიროა მასსის სათანადო მომზადება და, რაც უმთავრესია, მისი ნდობის დამსახურება. ამხ. ლენინმა ათასჯერ განიმეორა ოქტომბრის წინა დღეებში მარქსის ფორმულა. მან კიდევაც მოიხმარა, გამოიყენა იგი. მაგრამ ეს მოხდა არა მარტო იმით, რომ ოქტომბრის ბელადებმა „გადატრიალების ტეხნიკა“ შეისწავლეს და აჯანყების გზა გამონახეს. სრულებით არა. აქ მთავარი მნიშვნელობა ქონდა თვით პროლეტარულ ნაწილების ამოქმედებას, მათ ჩარევას ახალი წყობილების, ახალი პოლიტიკური ცვლილებების დამყარებაში. ამხ. ლენინს ხელს უწყობდა სწორი მარქსისტული თვალსაზრისი. „აჯანყების ხელოვნების“ ცოდნა და სათანადო გამბედაობა, ამავე დროს ფართო პროლეტარულ წრეების მხურვალე თანაგრძნობა.

საქართველოს მენშევიკები სამი წლის განმავლობაში იკვლევდნენ „აჯანყების თეორიას“. მათ ამ „დიად“ საქმეში არ აკლებდნენ გონების თავრივ ავლა-დიდებას და რეაქციონურ გამოცდილებას დანარჩენი შავრაზმული პარტიები. „კოლექტიურ შრომის“ შედეგად მეტად სამარცხვინო და „განათლებულ პარტიებისათვის“ შეურაცხმყოფელი დასკვნა გამოუვიდათ: ისინი დაადგნენ აშკარა მოტყუილების, ყალთაბანდობის გზას. მოკლეთ — გაიძვერობის პოლიტიკას. აშკარაა ამ საშუალებით მენშევიკები ვერ გავიდოდნენ ფონს, ვერ მოახდენდნენ საზოგადოების იმ ნაწილის მოქრთამვასაც, რომელიც საკმაოდ გაიხრწნა, დალპა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

გაიძვერობა და სიცრუე, მუშებისა და გლეხების მოტყუილება მენშევიკების სპეციალობაა, ხელობაა. მენშევიკებმა ქართველი მშრომელი ხალხი არა ერთხელ მოატყუეს. ისინი რევოლიუციამდე გაიძახოდნენ: რუსეთი ჩვენი ძმაა, ხოლო რევოლიუციის შემდეგ მორთეს ბუკი და ნაღარა: რუსეთი ჩვენი მტერია, ის ველურობისა და მხეცობის ქვეყანაა, ჰკა მაგასო. მენშევიკებმა ქართველი გლეხები მოატყუეს მიწის საკითხში. მიწის მუშებს დაჰპირდნენ მიწა, ხოლო ხელში „ღალა“ და „ყიდვა“ მიაჩეჩეს. მენშევიკები თავადებისა და აზნაურების ბატონობის მოსპობას გვპირდებოდნენ. ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ სულ სხვა გზას დაადგნენ. ნოე რამიშვილი 1918 წლის მიწურულში ინგლისის კომისარს უპასუხებდა: **ჩვენ ვსცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენი თავად-აზნაურობის მდგომარეობაო.** აშკარაა, რას ჰნიშნავს თავად-აზნაურობის მდგომარეობის გაუმჯობესება! სავსებით არ დასცალდათ მენშევიკებს, თორემ პრაქტიკულ შედეგებსაც მივიღებდით. ეს შედეგები უეჭველად ის იქნებოდა, რომ გაიძვერა მენშევიკური მთავრობა „ბრწყინვალე წოდებას“ იმ მიწებსაც დაუბრუნებდა, რომელიც „მიიღეს“, — რა თქმა უნდა ფასით, — მიწის მუშებმა. ეს აღარ დასცალდათ, მაგრამ რაც ჩაიდინეს ისიც კი საკმაოა.

მენშევიკები ატყუებდნენ არა მარტო „შეუგნებელ ტეტიებს“ ატყუებდნენ „ქართულ საზოგადოებრივ აზრს“. ისინი ამბობდნენ: ჩვენ ვაღიარებთ საქართველოს დამოუკიდებლობას. ამას ჩავდივართ არა ტაქტიკური მოსაზრებით, არამედ ღრმა პრინციპიალური შეხედულებით. ამავე დროს „მინისტრი“ ევგენი გეგეჭკორი გაგრის რაიონში შავ გენერალ ალექსეევს ეფიცებოდა: როგორც კი აღვადგენთ რუსეთს, — რასაკვირველია, ალექსეევისა და მენშევიკურს, — საქართველოს დაუყოვნებლივ შემოგიერთებთო. მენშევიკურ პრესასაც უდიოდა ასეთი სუხი.

ერთი სიტყვით, მენშევიკური რეჟიმის ისტორია სიცრუისა და გაიძვერობის ისტორიაა. არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ატარებს „მუშათა პარტიის“ სახელწოდებას, იმდენად არ ჩამხრჩვალა ყალთაბანდობის ჭაობში, როგორც ეს მოუვიდა ქართულ მენშევიკურ პარტიას. ამიტომაცაა, რომ შეგნებულ მუშებისა და გლეხების თვალში მენშევიკი სიცრუისა და გაიძვერობის ნიშანია, მენშევიკობა „მოშენკობის“ სინონიმია.

უკანასკნელ დღეების „გამოსვლებმა“ სავსებით გაამართლა მენშევიკებზე ასეთი შეხედულება. მენშევიზმი გაშიშვლდა პოლიტიკურად, გაიხრწნა ფაქტიურად, საბოლოოდ დაეცა მისი „პატივი და დიდება“ ხალხის იმ ნაწილშიაც კი, რომელიც გუშინ და გუშინწინ მას ადიდებდა, გუნდრუკს უკმევდა. ჩვენ შეგვიძლია სავსებით მიუდგომლად, სრულებით ობიექტიურად ვსთქვათ, რომ ამ „აჯანყებამ“ **დაასრულა ქართული მენშევიზმის ლიკვიდაციის პროცესი.** ჩვენ ვიცოდით, მენშევიკებს ზურგს უმაგრებდა ყოფილი გაბატონებული კლასი. თორმეტმა ათასმა მუშამ და გლეხმა ხელი აიღო მენშევიკობაზე. მაგრამ მაინც აშკარა იყო, რომ მენშევიკური პარტია კიდევ „ცოცხლობდა“ მეორე თორმეტი ათასი ყოფილ თავადების, აზნაურების, სპეკულიანტების და ბერმონოზონ-მღვდლების ლოცვა-კურთხევით. მომხდარ „გამოსვლების“ შემდეგ ბოლო მოეღო ამ „ურიცხვ“ და „უძლეველ“ არმიასაც. ძველი ცხოვრების ეს ნაშთი საზოგადოებრივი სხეულიდან რკინის შანთით ამოიწვა. მენშევიზმსაც გამოეცალა უკანასკნელი თავშესაფარი.

გლეხობის შეუგნებელ კულაკური მენშევიკური ნაწილი? დამშვიდებულად შეიძლება ითქვას, რომ ეს „გადმობირებული“ ნაწილიც გაუსხლტდა ხელიდან მენშევიკებს. ტყუილს მოკლე ფეხები აბია. მენშევიკები იმედებით, ოცნებებით კვებავდნენ „მომენშევიკე“ ელემენტებს. აი დღეს დაეცემა საბჭოთა ხელისუფლება, აი ხვალ „ჩამობრძანდება“ ჟორდანია თავის ამალით — ასეთი იყო მომლოდინეთა განწყობილება. დღე დღეს მისდევდა თვე-თვეს წელი-წელს, მაგრამ „ნოეს კიდობანი“ მაინც არ ჩნდებოდა შავი ზღვის ჰორიზონტზე. ევროპის ბურჟუაზია ყურს არ იბერტყდა, ხოლო მუშათა კლასი გაქცეულ „მთავრობას“ ოდნავადაც არ თანაუგრძნობდა. ამას მიუმატეთ კიდევ სხვა გარემოებაც, პირველი — საბჭოთა კავშირის შინაური ცხოვრების გაუმჯობესება, მეორე — მისი საერთაშორისო მდგომარეობის გამტკიცება. ვერ გასჭრა ქართულმა გულუბრყვილობამ, პურ-მარილმა, ბენის ტოლუმბაშობისა და ნოე რამიშვილის „ფეხების ცმაცურის“ მოგონებამ მაკდონალდის თავში! იცვნეს ბოლშევიკური რუსეთი, ბოლშევიკური საქართველო, საბჭოთა წყობილება.

დადგა მენშევიზმის ნამდვილი ზამთარი. საგარეო ფრონტზე დამარცხებამ გული გაუტეხა შინაურ მომხრეებს. სანამ მენშევიზმის მაჯის ცემა კიდევ არ იყო შეწყვეტილი, საჭირო იყო „საომარ ოპერაციების“ დაწყება. ცდა ბედის მონახევრეა. ევროპის „ბედმა“ უმტყუნა. ჯერი „ცდაზე“ მიდგა. შესაფერი დრო — აგვისტოს მიწურული, რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკების დასასრული.

„გამოვიდნენ“ „აჯანყდნენ“, აქა-იქ „დაიპყრეს“... რა ლოზუნგით გამოიყვანეს „ურიცხვი ჯარები“? მოტყუილების, გაიძვერობის, ყალთაბანდობით. დაღესტანი დაეცა, სომხეთი დაემხო. ადერბეიჯანი მოისპო, ტფილისი გადაიბუგა, ბათომს დესანტები მოადგა... ასეთი იყო პრაქტიკული მოწოდება, „აჯანყების ხელოვნება“.

აი სანიმუშო მაგალითი:

— ჰეი, ვინა ხარ შენ, საიდან მოდიხარ?

— თქვენი ვარ, ტფილისიდან...

— რა ამბავია იქ?

— სასიხარულო, ტფილისი მენშევიკების ხელშია, ჟორდანია ჩამოვიდა, ბოლშევიკები ყველა დაჭერილია, ციხეები სავსეა...

— ჰეი, შენ საიდან მოქალაქევ?

— ბათომიდან ამხანაგო.

— რა ამბავია იქ?

— არეულობაა, მიდიან და მოდიან ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ჯარები. ქალაქი მენშევიკებს უკავიათ... ბოლშევიკები დახვრეტილია.

აი ასე არწმუნებდნენ მენშევიკების აგენტები სოფლის მოსახლეობას. მაგრამ მაინც არ მოხდა მასსიური გამოსვლა. როგორც თვით პარიტეტული კომიტეტიც აცხადებს, მენშევიკებს „ხალხის ფართო მასსამ მხარი არ დაუჭირა, მათ შერჩათ მხოლოდ ის აქტიური ძალები, რომელიც ერის ზედა ფენებში იყო მოგროვილი და უმეტეს ნაწილად ტყეებში გახიზნული“. ამაშია მენშევიზმის დამარცხების მთელი სიმძიმე. ხალხი როგორც კი გაიგო მან, რომ მენშევიკები სტყუიან, მშრომელ ხალხს სძარცვავენ, თვითონ ამხედრა „ამხედრებულთა“ წინააღმდეგ.

მშრომელი მასსა პასუხს აძლევს გაიძვერებს, ავანტიურისტებს, ექსპლოატატორებს. „გამოსვლამ“ ფარდა ახადა მენშევიზმის განზრახვებს. მან სავსებით გამიჯნა მშრომელი ხალხი მენშევიკურ განწყობილებისაგან. მენშევიზმმა შეასრულა თვითმკვლელობის აქტი. ის შეიქნა გაიძვერობის და სიცრუის პოლიტიკის მსხვერპლი. ისტორიამ გამოუტანა საბოლოო განაჩენი.

გ. მუშიშვილი.

დამარცხებული კონტრ-რევოლიუციის აღსარება

ბორის სავინკოვის განცხადებამ საბჭოთა სასამართლოში უკანასკნელი სასიკვდილო ლახვარი ჩასცა საზღვარ-გარეთ გადახიზნულ და შინ ბნელ სოროებში მიმალულ კონტრ-რევოლიუციას.

ევროპის ბურჟუაზიული პრესის ფურცლებს სავინკოვის გვარი არ სცილდება; რუსეთის თეთრ გვარდიელთა ჟურნალ-გაზეთები სხვადასხვა გზით სცდილობენ გააქარწყლონ ის შთაბეჭდილება, რომელიც სავინკოვის განცხადებამ დასტოვა.

სავინკოვი მშიშარა კაცი არ არის; ის მრავალი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოციალ. რევოლიუციონერთა ტერორისტულ ორგანიზაციებს, მონაწილეობას იღებდა დიდ ტერორისტულ გამოსვლებში მეფის მთავრობის აგენტების წინააღმდეგ.

მთელი მისი ცხოვრება სიკვდილსა და სიცოცხლის შუა თამაშს წარმოადგენდა. მაგრამ ის მტკიცედ ადგა მის მიერ ერთხელ აღებულ ბრძოლის ხაზს და არასოდეს მას არ ღალატობდა. მისივე თხზულებებიდან სჩანს, რომ ის პირველადყოვლისა თავის პარტიის ღირსებაზე და ავტორიტეტზე ფიქრობდა და ყოველთვის მზად იყო ენაცვლებია მისთვის პირადი სიცოცხლე.

სავინკოვი გმირი იყო სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიისა მეფის თვითმპყრობელობის დამხობამდე. მისი პარტიის კონტრ-რევოლიუციონურ ბნაკშიგადაბარგვის შემდეგ ის კონტრ-რევოლიუციის სათავეში იდგა და დაუნდობელ - გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

არ არის პიროვნება, რომელსაც სავინკოვზე მეტი ზიანი მიეყენებიოს საბჭოთა ხელისუფლებისათვის, არ არის დამნაშავე, რომელიც თავის წარსულის მიხედვით ღირსი იყოს სავინკოვზე მეტი სასჯელის.

და ეს უშიშარი და უბოროტესი მტერი მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა მოულოდნელად აღიარებს თავისი შეცდომებს, თავის სასირცხვო დამარცხებას და მით თავსზარს სცემს სასიკვდილო განაჩენს უჭერს, მთელ კონტრ-რევოლიუციის ლაშქარს. სავინკოვი სცნობს საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და სააშკარაოზე გამოაქვს შინაური და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის შავბნელი საქმეები, რომელიც მან ყველაზე კარგათ იცის, როგორც აქტიურმა მონაწილემ და ხელმძღვანელმა კონტრ-რევოლიუციონური მუშაობისა.

მან ნათელჰყო შავ გენერლების კავშირი ლოიდ ჯორჯთან, მაკდონალდთან და საერთაშორისო ბურჟუაზიის ყველა აგენტებთან. სავინკოვის ჩვენება არის დიდი წიგნი საერთაშორისო მტაცებელთა ხროვის საზიზღარი მუშაობის რუსეთის მუშის და გლეხის წინააღმდეგ, ის არის შავი ძეგლი საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიისათვის

ამის დამნახავ კონტრ-რევოლიუციამ დაკარგა სიმშვიდე, ღელავს, შფოთავს და სცდილობს თავი იხსნას მორალურ და ფიზიკურ სიკვდილისაგან.

ყოველგვარ ეჭვების და მითქმა-მოთქმის გასაფანტავად სავინკოვი სწერს ახალ წერილს საპატიმროდან, რომელზედაც ის უარჰყოფს ყველა იმ მოსაზრებებს, რომლითაც ხსნიდენ მის მიერ საბჭოთა ხელისუფლების ცნობას.

ამ წერილში ამბობს, რომ კომუნისტური პარტია განადგურებულ რუსეთის აღდგენისათვის დიდ მუშაობას აწარმოებს და მიაღწევს კიდეც მიზანს, რომ მან შესძლო ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა გაერთიანება თანასწორობის პრინციპით და მიისწრაფვის საბჭოთა კავშირის გაძლიერებისა და აყვავებისკენ.

სავინკოვი აღიარებს, რომ დამარცხდა ბრძოლაში, რომ მასთან ერთად დამარცხდენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა მოწინააღმდეგეები, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად.

საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, რადგანაც მას მხარს უჭერდა რუსის მუშა და გლეხი, რომელთა ნებისყოფა კანონია და მას უნდა დაემორჩილოს ყველა, ვისაც უყვარს რუსეთის ხალხი, ვინც ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში ის უცხო ქვეყნების ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული საზიზღარი აგენტი და ჯაშუშია — აცხადებს სავინკოვი.

სავინკოვის განცხადებას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს; ის მეტად საყურადღებოა საქართველოს უკანასკნელი კონტრ-რევოლიუციონური ავანტიურის შინაარსის გასაგებათ. ჩვენმა პარიტეტულმა კონტრ-რევოლიუციამ თვითონაც აღიარა თავისი კავშირი საზღვარ-გარეთის ბურჟუაზიასთან, მაგრამ ყველა ბნელი კუნჭულები ამ საზიზღარი საქმისა კიდევ არ არის სავსებით გამოტანილი სააშკარაოზე.

სავინკოვის განცხადების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ევროპის, კერძოდ საფრანგეთის ბურჟუაზიის და მეორე ინტერნაციონალის შავი ხელის მონაწილეობა საქართველოს კონტრ-რევოლიუციონურ-ბანდიტურ გამოსვლებში.

მაგრამ ყველა ცდა შინაურ და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციისა მარცხით გათავდა რუსეთშიც და ჩვენშიც. სავინკოვი დაგვიანებით მიხვდა ამას, დრო არის, რომ მიხვდენ მას კონტრ-რევოლიუციის შავბნელი საქმეების სხვა „მოღვაწენიც“.

კონტრ-რევოლიუცია მოკვდა და ვერავითარი უგუნური და უაზრო გამოსვლები მის საქმეს ვერ უშველის და ვერ გამოაცოცხლებს.

ამას ამბობს და უტყუარად ადასტურებს სავინკოვის უკანასკნელი წერილები და განცხადებები.

ი. ბ.

პარიტეტულ კომიტეტის წევრები

რომლებიც „შეკრებილი“ არიან დღეს ჩეკას კლიტულებში



ანდრონიკაშვილი კონსტანტინე ემანუილის ძე

ყოფილი თავადი, ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი, ქალ. თელავის ყოფილი ქალაქის თავი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მენშევიკების არალეგალურ ცეკას წევრი, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე; სეით დევდარიანის დაპატიმრების შემდეგ მას ირჩევენ ცეკას თავმჯდომარეთ; ხელმძღვანელობდა ავანტიურას საქართველოში 29—31 აგვისტოს. დაპატიმრებულ იქნა ა. წ. 4 სექტემბერს ბანდების გამოსვლის დროს

გოგორიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

ყოფილი აზნაური, მემარჯვენე ესერების პარტიის წევრი, პარიტეტული კომიტეტის წევრი, ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე შეიარაღებული აჯანყების.

დაპატიმრებულ იქნა პარიტეტული კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად, ბანდების გამოსვლების დროს.



ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე

ყოფილი აზნაური, ნაფიცი მსაჯული, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცეკ პრეზიდიუმის წევრი პარიტეტულ კომიტეტის მდივანი. დაპატიმრებულია ბანდების გამოსვლის დროს.



იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

ყოფილი აზნაური, ექიმი, ნაციონალ-დემოკრატების არალეგალურ ცეკას პრეზიდიუმის წევრი, პარიტეტულ კომიტეტთან არსებული სამხედრო კომისიის წევრი, საქართველოს პარიტეტული კომიტეტის წარმომადგენელი ჩრდილოეთ - კავკასიის კონტრთ-რევოლიუციონური ჯგუფის აჯანყების მომზადებელ შტაბში, რომელსაც დაუკავშირა ბანდიტი ჩოლოყაშვილი უცხოეთიდან ნოე ჟორდანიის მიერ გამოგზავნილი აჯანყების გეგმის განსახორციელებლად.

ნინიძე კირილე ესეს ძე

ყოფილი აზნაური, ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი, „სხიველების“ პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, პარიტეტული კომიტეტის წევრი, კათალიკოს ამბროსის დამცველი, მისი კონტრ-რევოლიუციონური მუშაობისათვის, რომელიც გამოიხატა გენუის კონფერენციისადმი მიმართვაში მოწოდებით ინტერვენციის და სხვ. შესახებ.

ჯინორია გიორგი ევგენის ძე

ყოფილი აზნაური, მენშევიკების ცეკას პრეზიდიუმის წევრი. პარიტეტულ კომიტეტთან არსებული სამხედრო კომისიის თავმჯდომარე (ვ. ნოდიას დაპატიმრების შემდეგ); უკანასკნელ დროს დანიშნული იყო პარიტეტული კომიტეტის დავალებით შედგენილ ბანდების გამოსვლის ხელმძღვანელად ქუთაისის გუბერნიაში.

საფრანგეთმა გადასწყვიტა იცნოს საბჭოთა კავშირი

საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ მოხდება ოქტომბერში

ინგლისის მუშათა პარტია მოითხოვს ჩვენთან დადებულ ხელშეკრულების დამტკიცებას

„ოსმალეთის მთავრობა სცნობს მხოლოდ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს“

საფრანგეთი გვიცნობს

დე-მონსის კომისიის დაარსება

პარიზი. 14 სექტემბერი. მთელი საფრანგეთის პრესას მოჰყავს ცნობა **იმის შესახებ, რომ დაარსდა კომისია, რომელიც შეისწავლის საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს. პრესის უმეტესი ნაწილი ამ ცნობას უკეთებს კომენტარიებს დადებითი კილოთი.** მხოლოდ უკიდურესი ნაციონალისტური „ეკლერ“ უწოდებს მთავრობის ამ გადაწყვეტილებას უგუნურობას და „ევედრება“ სენატორ დე-მონზის კარგად შეისწავლოს საკითხი მანამდე, ვიდრე მიღებული იქნებოდეს რაიმე გადაწყვეტილება.

მესამე დღეს დასახელებულ პირებს გარდა, კომისიაში შევლენ აგრეთვე გარეშე საქმეთა სამინისტროს იურისკონსულტი დე-შევალიე და სოციალისტი დეპუტატი ლიონა-მუტე, ერიოს მარჯვენა ხელი. **მნიშვნელოვანია, რომ მუტეს მაგიერ კომისიაში შევა სოციალისტი დეპუტატი ბლიუმი.**

„ომ ლიბრ“-ის სიტყვით, რომელიც ამჟამად წარმოადგენს მთავრობის ორგანოს, კომისია დაუყოვნებლივ მიემხრობა საბჭოთა კავშირის უშენიშვნოდ ცნობას. მაგრამ საკითხი ნორმალურ ურთიერთობის განახლებას შესახებ განხილული იქნება დამოუკიდებლად ცნობის საკითხისაგან, ვინაიდან ის მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან მთელ რიგ პირობების შესრულებას.

„კომისიის მუშაობამ, — აცხადებს გაზეთი, — უნდა განვლოს სამი ეტაპი: განსაკუთრებით ცნობა, თანამეზობლობის პირობების გამომუშავება და ნორმალურ დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის განახლება.

„ექსელსიორ“ აცხადებს, რომ ის ნაბიჯები, რომელსაც სდგამს საფრანგეთის მთავრობა, მოწმობს იმას, რომ საფრანგეთი სრულებით არ არის დაინტერესებული და არ ისახავს მიზნად რუსეთის ექსპლოატაციას.

„მაგრამ ცნობის საკითხი, — ამბობს გაზეთი, — მჭიდროდ უნდა იქნეს დაკავშირებული რუსეთის ვალთან, რომელმაც შთანთქა საფრანგეთის მარაგი“.

„ენფორმასიონ“ აღიარებს, რომ საჭიროა დავადგეთ ცნობის გზას, და აცხადებს, რომ მოსკოვის წინაშე იმება ამჟამად თითქოს „გადაუჭრელი“ დილემა: დაიცვას კომუნიზმის პრინციპები საბჭოთა კავშირის შიგნით, ან უარი სთქვას მათზე თავისი ურთიერთობის დროს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

„მატენ“ აღნიშნავს, რომ მოლაპარაკება მოსკოვთან დაიწყება მხოლოდ ცნობის შემდეგ. „გამოურკვეველია, — ამბობს გაზეთი, — ვინ იქნება უფლებით აღჭურვილი საფრანგეთის მხრით მოლაპარაკების საწარმოებლად. მაგრამ, როგორც სჩანს, არჩევა მოხდება არა ცნობილ დიპლომატების წრეებს შორის და არც იმ პოლიტიკურ მოღვაწეებიდან, რომლებიც წინად გართული იყვნენ რუსეთ-საფრანგეთის საკითხში.

ცნობა აუცილებელია

მარტიენი საბჭოთა კავშირთან „თანამშრომლობის“ შესახებ.

პარიზი. 14 სექტ. ფრანგი ჟურნალისტი მარტიენი „კოტიდიენ“-ის ფურცლებზე აყენებს კითხვას, შესაძლებელია თუ არა ამჟამად თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. **ის აცხადებს, რომ სერიოზულ ცდებს თანამშრომლობისა დღემდე არ გამოუღია ნაყოფი, საფრანგეთის მთავრობის გულგრილობისა და ბანკების მტრული განწყობილების გამო საბჭოთა კავშირის მიმართ.**

„კაპიტალისტებს ეხლა თამამად შეეძლოთ მოეთავსებიათ თავისი კაპიტალი საბჭოთა კავშირში“ სწერს მარტიენი, — ვინაიდან მხოლოდ ახალი მუშაობით შეიძლება იმ თანხების გადარჩენა, რომელიც ერთ დროს დაბანდებული იქნა რუსეთის წარმოებებში“.

მარტიენი აღნიშნავს, რომ „მუშაობის“ განახლების ინიციატივა საბჭოთა კავშირში უნდა გამომდინარეობდეს მსხვილ კონსორციუმებისაგან, რომელთაც შეეძლებათ შეთანხმების მიღწევა მთავრობასთან თანასწორ საფუძვლებზე.

ცნობა მოხდება ოქტომბერში

პარიზი, 14 სექტემბერი. როგორც სჩანს, საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის განახლების აუცილებლობას საფრანგეთში ყველა აღიარებს. არავის ეჭვი არ შეხდის იმაში, რომ პარლამენტის უმრავლესობა მოიწონებს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას. **ცნობა მოხდება, ალბად, ოქტომბერში.**

სენატორმა დე-მონზიმ, რომელსაც ასახელებენ საფრანგეთის მომავალ ელჩად მოსკოვში, „როსტა“-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ის გაემგზავრება მოსკოვში 1 ოქტომბრამდე.

მუშათა კლასის ხმა

ინგლისის პროფკავშირების და მუშათა პარტიის მანიფესტი.

ლონდონი. 14 სექტემბერი. ტრედიუნიონების გენერალურმა საბჭომ და მუშათა პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვეს მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია ხაზგასმით, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დამტკიცება იქნება ერთგვარი კომპენსაცია იმ ზარალისათვის, რომელიც მიაყენა რუსეთს ევროპის კოალიციის ინტერვენციამ, რომელიც ფინანსებს აწოდებდა კოლჩაკს, დენიკინს, იუდენიჩს და ვრანგელს. მანიფესტში ნათქვამია, რომ ხელშეკრულების დამტკიცება საშუალებას მისცემს საბჭოთა მთავრობას გამოიყენოს თავისი აუარებელი რესურსები **და გამოიწვევს ინგლისის ვაჭრობის აღორძინებას, საბჭოთა კავშირიდან ნედლი მასალების შემოზიდვის გამო, რაც სამუშაოს აღმოუჩენს ბევრს ინგლისელ მუშებს.**

მანიფესტი აცხადებს, რომ ინგლისის მუშათა კლასი პროტესტს აცხადებს ინგლისის ბურჟუაზიის ზოგიერთი ჯგუფების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ საბჭოთა კავშირის მმართველობის ფორმების შეცვლა და აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირის შესვლას საერთაშორისო ოჯახში მოითხოვენ ორთავე მხარის ინტერესები.

მანიფესტი მოუწოდებს ხელშეკრულებისათვის აქტიურად მხარის დაჭერვისაკენ.

ერიოს უსაყვედურებენ

პარიზი. 14 სექტ. „ჟურნალ დედება“ გაკვირვებულია, მით რომ საფრანგეთის მთავრობა ემზადება საბჭოთა კავშირის საცნობად და ამავე დროს არ იჩენს იმ სიფრთხილეს, რომელზედაც ლაპარაკი იყო მთავრობის დეკლარაციაში. გაზეთის აზრით, ცნობა ეწინააღმდეგება საღ შეხედულებას და საფრანგეთის დიპლომატიურ გამოცდილებას. მით უფრო რომ საქმე ეხება ურთიერთობის განახლებას იმ მთავრობასთან, **რომელიც ყოველგვარ საშუალებებს მიმართავს ბურჟუაზიულ წესწყობილებასთან ბრძოლისათვის.**

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ნაბიჯები, რომელსაც სდგამს საფრანგეთის მთავრობა, მით უფრო ნაჩქარევია, რომ საბჭოთა კავშირის ცნობამ ინგლისის მიერ უკვე მოგვცა „პირველ დაწყებითი გამოცდილება“ და ხელი შეუწყო მაკდონალდის მდგომარეობის შერყევას.

აღნიშნავს რა შემდეგში, **რომ ცნობა წინდაწინვე გადაწყვეტილია,** გაზეთი აცხადებს: „რომ არსებითად ეს არის საფრანგეთის მიერ თავისი უძლურების ცნობა. საფრანგეთი ჩაყენებული იქნება არახელსაყრელ მდგომარეობაში მომავალ მოლაპარაკების დროს“.

დასასრულს გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დე-მონზის კომისიის ყველა წევრებს შორის ცნობას შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს მხოლოდ ნიულანსმა; დანარჩენები კი მიემხრობიან ცნობას.

მენშევიკებს არავინ სცნობს

ანგორა. 13 სექტემბერი. ანგორის სატელეგრაფო სააგენტო ოფიციალურად იტყობინება; **„ოსმალეთის რესპუბლიკის მთავრობა სცნობს მხოლოდ საბჭოთა საელჩოს ანგორაში და არავითარ სხვა წარმომადგენლობებს ყოფილი რუსეთისა, მათ შორის არც მენშევიკური საქართველოსი.**

თბილისის მასწავლებლობა მენშევიკური ავანტიურის შესახებ

ქვირას, 14 სექტემბერს „საოპერო" თეატრში შესდგა თბილისის განათლების მუშაკთა კრება, რომელიც მოწვეული იყო მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის მიერ და რომელსაც თავისი აზრი უნდა გამოეთქვა საქართველოში უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბებზე.

ამ თემაზე მოხსენებას აკეთებენ ამხ. ფილიპე მახარაძე და ამხ. მამია ორახელაშვილი.

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება

ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელიც მოჰყვა გურიაში მენშევიკური გამოსვლების დროს, კრებას დაწვრილებით უამბობს გამოსვლის ხასიათს და გზა და გზა არკვევს მის გამომწვევ მიზეზებს. ამხ. ფილიპეს აზრით, საერთოდ უკანასკნელი გამოსვლა იყო წმინდა კლასობრივი გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის სოციალისტური მშენებლობა საფუძვლიანად უარყოფს შეძლებული კლასების (თავად-აზნაურობის, სამღვდელოების, ვაჭრების) ინტერესებს.

გლეხობაში გამოსვლამ გამოხმაურება ვერ ჰპოვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, გურიას, რომელიც ტრადიციულად მენშევიკური იყო და რომლის გლეხობასაც ხელისუფლების გამოცვლა აინტერესებდა იმდენად, რამდენადაც ხელისუფლების სათავეში მოხვდებოდენ მათი ბელადები და თვით ისინი. სხვა რამ ეკონომიურ-სოციალური სარჩული გურიის გლეხობით გამოსვლას არ ჰქონია.

დანარჩენ კუთხეებში გამოსვლა გამოწვეული იყო ყოფილ გაბატონებულ კლასების უკმაყოფილებით და ისახავდა აშკარად კონტრ-რევოლიუციონურ მიზნებს.

გამოსვლების ხასიათის გამორკვევამ ცხადი გახადა, რომ თვით ამ „აჯანყების" ხელმძღვანელთა არ სწამდათ, რომ გამოსვლა მიიღებდა საყოველთაო ხასიათს, რადგან გრძნობდენ, რომ საქართველოს მასებში მას სრულიად არ ექნებოდა პოპულიარობა.

მართლაც ეს „აჯანყება" იყო სრულიად ხელოვნური, რომელიც იმთავითვე დასაღუპავად იყო განწირული.

ეს ხელოვნური, ნიადაგს მოკლებული „აჯანყება" მოწყობილი იყო არა გადატრიალების მოსახდენად, არამედ „ჰაი-ჰუის" ასატეხად, „სხვების" გასაგონად და გულის მოსაგებად.

მასების მხრივ მათ მიიღეს სულ წინააღმდეგი ეფექტი, ვიდრე მოელოდენ.

გურიაში გლეხობა სავსებით დარწმუნდა, რომ ეს იყო მენშევიკების მხრივ უდიდესი პროვოკაცია, ხალხის აბუჩად აგდება და გამასხარავება.

ამას მოჰყვა მენშევიკური პარტიის გავლენის სრული გაქარწყლება გურიის გლეხკაცობაში. ამხ. ფილიპე კრებას უკითხავს გლეხების წერილებს, სადაც ისინი გამოსთქვამენ სრულიად გულწრფელად თავიანთ შეცდომებს და დანაშაულს, რომელსაც ისინი მიაწერენ მენშევიკურ პროვოკაციას. როგორც ამ კერძო ბარათებში, ისე სასოფლო ყრილობებზე გლეხობა მთლიანად ემიჯნება მენშევიკურ პარტიას და ფიცს სდებს, რომ ხელისუფლებასა და კომპარტიასთან ერთად ჩაებან საბჭოთა სოციალისტურ მშენებლობაში.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

ამხ. მამია ორახელაშვილი უკეთებს რა ანალიზს მენშევიკურ-თავად-აზნაურულ გამოსვლას, კრებას აცნობს იმ მასალებს და შთაბეჭდილებებს, რომელიც მიუღია ამ გამოსვლების მიზეზების გამოსარკვევად საქართველოს კუთხეებში გამგზავრებულ კომისიებს.

საქართველოს გლეხობის მეტად ფრთხილმა დაკითხვამ გამოარკვია, რომ არ მოიპოვება საქართველოში არც ერთი კუთხე, სადაც გლეხობა სჩიოდეს თავის ეკონომიურ შევიწროებაზე ან ეროვნულ ჩაგვრაზე. საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, როგორც ეს ესმით მენშევიკებს და სხვა ნაციონალისტურ პარტიებს, ქართველ გლეხებისათვის სრულიად გაუგებარია, იგი სავსებით კმაყოფილია მით, რომ მას არც ერთ საბჭოთა დაწესებულებაში დაბრკოლება არ ხვდება და მისი საქმეები სწარმოებს მისთვის გასაგებ ენაზე, უფრო მეტი კმაყოფილების გრძნობას იწვევს ქართველ გლეხში ის გარემოება, რომ მისი შვილი, ან ოჯახის სხვა წევრი ეს ოთხი წელიწადია მშვიდობიან მუშაობაშია ჩაბმული და არ უხდება სხვადასხვა ფრონტებზე ხეტიალი.

ცხადია, საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგ ქვეშ იმალებოდა ყოფილი გაბატონებული კლასების კონტრ-რევოლიუციონურ, ზრახვები.

ეს გარემოება ცხადჰყო კონტრ-რევოლიუციონერთა მოსაქმეობამ იმ ადგილებში, სადაც დროებით გაბატონდენ, და აგრეთვე აჯანყებულთა სოციალურმა შემადგენლობამ, რომელსაც ავსებდენ ყოფილი აზნაურნი, მღვდლები, ვაჭრები და ოფიცრობა.

გასაკვირი იყო მხოლოდ ის, რომ ზოგიერთ ადგილებში გამოსვლებში მონაწილეობდენ მასწავლებლები. თითქმის ყველგან გამოძიებამ გამოარკვია, რომ ის მასწავლებლები, რომელნიც გამოვიდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არიან თავად-აზნაურობიდან გამოსული ოფიცრები, რომლებიც უმუშევრობის გამო დროებით შეფარებიან მასწავლებლობის პროფესიას.

ცხადია, მასწავლებლობა თავის რიგებში ვერ დასტოვებს მსგავს ელემენტს და იზრუნებს თავის შემადგენლობის გასუფთავებაზე კონტრ-რევოლიუციონური ოფიცრობიდან."

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებლობის სახელით კ. ქაპანელმა, რომელმაც საფუძვლიანად დაასაბუთა ამ გამოსვლების სრული მიზანშეუწონლობა და უაზრობა ჩვენს ქვეყნის ეკონომიურ და კულტურული აღორძინების თვალსაზრისით.

სხდომის დასასრულს კრებამ ტაშისცემით ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

რეზოლიუცია

„საქართველოს გასაბჭოება იყო ისტორიული შედეგი რუსეთის დიდი რევოლიუციის, რომელმაც შრომისა და ხალხთა სალიდარობის პრინციპი დაუპირდაპირა კაპიტალისტური ქვეყნების შურს, მტრობას და ექსპლოატაციას.

სამი წლის განმავლობაში მშრომელი საქართველო გვერდში უდგია დიდი რუსეთის რევოლიუციას პროლეტარული დიქტატურის წესწყობილებაში, განუწყვეტლივ იბრძვის კაცობრიობის საუკეთესო იდეალისათვის. ქართველი ხალხი თავისი რევოლიუციონური ტემპერამენტით ისტორიულად იკაფავს გზას და მე 19 საუკუნის მიწურულიდან ქართული საზოგადოებრივობა იჩალხება და იწრთნება სოციალისტურ მოძრაობაში. ინტელიგენციის დიდი ნაწილი საქართველოს დედა ქალაქში,—თბილისის მასწავლებლობა ხალხის სოციალ-ისტორიულ ტკივილების დროს ვერ დარჩება გარეშე საზოგადოებისა, გარეშე მასისა, რომელიც ჰქმნის ახალ ეპოქას კულტურის ევოლიუციაში, რომელსაც შემოაქვს და ატარებს სოციალურ სოლიდარობის პრინციპებს. მასწავლებლობა ნათლად ჰხედავს საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ მიღწევას. სამი წლის განმავლობაში, ხელოვნების, მეცნიერების და მრეწველობის დარგებში—სოციალისტური პოლიტიკის რადიკალური ნაბიჯები გამოსახავენ ხალხის ინტერესებს და იდეალებს. ყოველგვარი აჯანყება და მენშევიკების და მათი დამხმარეების ავანტიურისტული გამოსვლები ხელს უშლის მთავრობის შემოქმედებით მუშაობას და იწვევს ხალხში სახელმწიფოს და ერისათვის მავნებელ სულიერ განწყობილებას, სხვადასხვა ჯგუფთა შორის ხელახლა აღვიძებს შურსა და მტრობას.

ამიტომ ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონური აჯანყება არსებულ მთავრობის წინააღმდეგ მასწავლებლობას მიაჩნია ხალხისთვის დაუშვებლად და დამღუპველად. სავსებით ჰკიცხავს ამ ავანტიურისტულ მოძრაობის სულის ჩამდგმელთ და ხელმძღვანელებს. თბილისის მასწავლებლობა ყოველ პატიოსან ინტელიგენტს იწვევს საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან სათანამშრომლოდ ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის!!

უპარტიო მასწავლებლის ხმა

უძველეს დროიდან დაწყებული დღემდე ჩვენს პატარა ქვეყანას მოსვენება არ უნახავს. შინაურმა უთანხმოებამ, მეზობლებთან ბრძოლებმა კულტურულად დასცა და გააპარტახა ერი. სისხლიდან დამცლარი, დაქანცული ქართველი ხალხი შეუერთდა დიდ რუსეთს. მან ფიზიკურად დაისვენა, მაგრამ იმპერატორების რუსეთმა გასტანჯა როგორც რუსეთის მშრომელი ხალხი, კიდევ უფრო ქართველი მუშა და გლეხი. ხოლო საქართველოს „მაღალმა საზოგადოებამ" თავად-აზნაურობამ და ბურჟუაზიამ პეტროგრადსა და მოსკოვში ნახა თავისი ტოლი და მათთან ერთად ფუფუნებაში ატარებდა დროს და „დაკანგულ მეფალზე ჰკიდდა თავის სამშობლოს ბედნიერებას". აქ დარჩენილი ცუდმა და ხანჯლიანი აზნაური იკვებებოდა „ყაზახის" გაბიაბურებით, დაცინვით და სცოცხლობდა მით, რომ ის ბრწყინვალე შთამომავლობისაა. ამ მუქთახორას ხორცმეტის მოსაპურებლად, მოსასპობად და ქვეყნად სამართლიანობის დასამყარებლად იატაკ ქვეშ რამოდენიმე ათეული წელი მუშაობდა მშრომელი ხალხი. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ იმედი მისცა პატარა ერებსა და მშრომელ ხალხს, რომ ამიერიდან ქვეყნად სამართლიანობა დამყარდება. **სინამდვილეში კი კერენსკის მთავრობამ მიწის მიცემაც კი ვერ გაბედა მიწის მუშისთვის. წერეთელი სისხლით და მახვილით იმუქრებოდა უკრაინას და საერთოდ პატარა ერებს.**

ხოლო მას შემდეგ რაც ლენინის რკინის ცოცხით ესერები და მენშევიკები განდევნილ იქნენ რუსეთიდან,—ესერებმა ევროპის ბურჟუაზიასა და იმპერიალისტებს უწყეს ფეხის ლოკვა, რაიც დღემდე გრძელდება.

მენშევიკებმა კი ტაქტიკა შეიცვალეს და პატარა ერი „შეიყვარეს". ჯერ ამიერ-კავკასიაში და შემდეგ საქართველოში მოკალათდენ. დაწვრილმალდა ისედაც წვრილი ხალხი: საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გაბატონებული პარტია კვირაობით მსჯელობდა კირილე ნინიძის ბინის საკითხზე და დონ-კიხოტ ჩხეიძის მკლავებისა და სილის სიძლიერეზე. თუ ვინმე კრინტს დასძრავდა მიწის სოციალიზაციაზე, სახელმწიფო მნიშვნელობის ქონების ნაციონალიზაციაზე ან რაიმე სხვა გაბედულ ნაბიჯის გადადგმაზე მშრომელი ხალხის სასარგებლოდ,—ის ინათლებოდა „ბოლშევიკის" სახელით, ხოლო ბოლშევიკების შესახებ ისეთი ინფორმაცია არსებობდა, რომ ისინი კაცის მჭამელები არიან, არაფერი წმინდა არ გააჩნიათ, ლენინი გერმანიის აგენტიაო და სხვა.

საქართველოშიაც დამარცხდა მენშევიზმი. ლიდერები გაჰყვნენ კერენსკის გზას. მთავრობამ მიაშურა საქართველოში ნაპურმარილებ მეორე, ყვითელ ინტერნაციონალის ბელადებს. ამ სამნახევარ წლის განმავლობაში დაიშალა პორტფელის მოტრფიალეთა ბუდე. ჩვენი ქვეყანა დამშვიდდა, დაეწაფა კულტურას და ჩაება აღმშენებლობით მუშაობაში. ვფიქრობ საქართველოს წარსულში არ ყოფილა ასეთი სამნახევარი წელი, როცა ამდენი ქართული წიგნი გამოცემულიყოს, ამდენი სკოლა გახსნილიყოს და ასეთი აღმშენებლობა ყოფილიყოს, როგორიც ამ სამნახევარ წელს იყო.

საქართველოს ემიგრანტებმა ევროპიდან გამოგზავნეს აგენტები სიმშვიდის დასარღვევად.

ვისი რჩევით, ვისი იმედით?

პუანკარე და ლოიდ ჯორჯი მოუტანს ჩვენს ქვეყანას მეტს ბედნიერებას, ვიდრე გვაქვს?

მაკდონალდი, რომელმაც აღდგომების დღესასწაულების გამო რამოდენიმე დღით შეწყვიტა რუსეთ-ინგლისის კონფერენცია და იმ დღეებში დიდის სიამაყით და სიამოვნებით სადილობდა ინგლისის მეფესთან, ეს მაკდონალდი დაამყარებს სოციალიზმს?

საკუთარი ცხვირის წინ ყავს დაჩაგრული კოლონიები და მან მათზე იზრუნოს.

იჭვი არ მეპარება იმაში, რომ მაკდონალდსა და ერრიოს ის ბედი ეწევათ, რაც კერენსკის რუსეთში და ჟორდანიას საქართველოში. მშრომელი ხალხი წელში ვერ გაიმართება, სანამ ეს კონსერვატორული ლაყე აზროვნების, გაუბედავი ხალხი არ აღიგვება ჩვენი დროის სინამდვილიდან და სანამ ევროპისა და სხვა ქვეყნების სიმაღლეებზე არ აფრიალდება წითელი დროშა. მათი შემდეგი პოზიციების და პორტფელების შესანარჩუნებლად ქართველმა ხალხმა სისხლი უნდა დაღვაროს? მშრომელი ხალხის ერთ წვეთ სისხლადაც არ ღირს დიდი, ყვითელ ინტერნაციონალის სოციალისტობა! ისინი მტრები არიან ძმობის, ერთობის და პატარა ერების!

აქედან დასკვნა: ჯერ კიდევ ჩვენში დარჩენილ ორიოდე თვალაუხილავისა და გულუბრყვილოს, უმთავრესად კი ხანჯლიანებისა და ფუფუნების დამკარგველ პირთა გამოსვლა ისე კი არ უნდა იქნეს დაგმობილი, როგორც ავანტიურა, რომლიდანაც არაფერი „გამოვიდა", არამედ უნდა ვსთქვათ: შესაძლებელიც რომ იყოს „რაიმე" გამოვიდეს, ის „რაიმე" ქართველი ხალხის უბედურება და უკან დაწევა იქნება.

ჩვენ უნდა უთხრათ ევროპის დღევანდელ მმართველებს: **შორს თქვენი ბინძური ხელები ჩვენგან!**

ვ. ძიძიგური.

ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული „სოციალისტი"

მაკდონალდს „საჩუქრათ აულია" ავტომობილი და ყოველწლიურად 1000 გირვანქა სტერლინგი

მაკდონალდი ბისკვიტების ფაბრიკის აქციების მეპატრონე

„პრემიერი ძლიერ დაქანცული იყო, როდესაც სწერდა ამ სტრიქონებს"

მაკდონალდი ფაბრიკის მეპატრონე

ლონდონი. 14 სექტ. ლონდონის საღამოს გაზეთებმა გამოაქვეყნეს სენსაციური ცნობა იმის შესახებ, რომ მაკდონალდი არის ბისკვიტების დამამზადებელი ცნობილი სამრეწველო ფირმის „მაკვიტი პრაისის"-ის აქციების მეპატრონე. როგორც ცნობაში ნათქვამია, მაკდონალდს კუთვნილ აქციების ჯამი უდრის 30.000 გირვანქა სტერლინგს (300 ათას მანეთამდე.)

გაზეთები მიუთითებენ აგრეთვე იმაზე, რომ მაკდონალდის აქციების მესაკუთრეობის ფაქტს კავშირი აქვს იმასთან, რომ **ფირმის მთავარმა დირექტორმა კრანტმა მიიღო ბარონეტის ტიტული და რომ მას ერთხელ ხოტბას ასხამდა მაკდონალდს თავის სიტყვაში.**

დღევანდელი დილის გაზეთებს მოჰყავთ მაკდონალდის განცხადება რომელშიაც ის ამტკიცებს, რომ აქციები მას არ ეკუთვნის.

„მე ვარ მხოლოდ აქციების ტექნიკური შემნახველი—ამბობს მაკდონალდი.—„ამ საქმეს არავითარი საერთო არ აქვს პოლიტიკასთან. ალექსანდრე კრანტმა მიიღო ბარონეტის ტიტული იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის საზოგადოებისადმი. კერძოდ მან დიდი საჩუქრები შესწირა ნაციონალურ წიგნთსაცავს შოტლანდიაში, რისთვისაც მან მიიღო ედინბურგის საპატიო მოქალაქის სახელწოდება".

მაგრამ მაკდონალდი არ მიუთითებს იმაზე თუ რომელი პირის მიერ არის უფლებებით აღჭურვილი, როდესაც ის ითვლება საბისკვიტო აქციების „ტექნიკურ" მეპატრონედ. პრესა აცხადებს, რომ აქციების ისტორია უსათუოდ ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს მუშათა პარტიის წევრებზე, თუ მაკდონალდი არ მისცემს მათ უფრო დამაკმაყოფილებელ განმარტებას.

მაკდონალდის განმარტება

ლონდონი, 14 სექტ. ლონდონის ყველა გაზეთებში დაბეჭდილია მაკდონალდის დაწვრილებითი განმარტება იმ აქციების შესახებ, რომელიც მას აქვს ფირმა „მაკვიტი პრაის"-ში, რომლის დირექტორი არის მაკდონალდის პირადი მეგობარი ალექსანდრე კრანტი, რომელმაც მიიღო ამას წინათ ბარონეტის ტიტული.

მაკდონალდი აცხადებს:

„მე ძალიან გულმოსული ვარ განცალკევებულ ხმების გამო, მაგრამ გაცილებით უფრო გულმოსული ვარ ჩემი მეგობრის კრანტისათვის, ვინემ ჩემი გულისათვის.

როდესაც მე დავიკავე პრემიერის თანამდებობა, ყველაზე უფრო სასიხარულო ეს იყო შოტლანდიაში ალექსანდრე კრანტისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკური მრწამსი ერთი-მეორეს სრულიად ეწინააღმდეგება.

კრანტმა განაცხადა, რომ ის მოწადინებულია მონაწილეობა მიიღოს ჩემთვის ცხოვრების შესაფერ პირობების შექმნაში, რისთვისაც მას სურს მომცეს მე ავტომობილი. ამაზე მე ვუპასუხე, რომ ამ ჟამად მე უნდა დავკმაყოფილდე სახელმწიფო ავტომობილით და როდესაც მე დავანებებ თავს პრემიერობას, ეს ავტომობილი მე უკვე აღარ მექნება. მაშინ კრანტმა მიპასუხა, რომ ის დაჟინებით მოითხოვს მიმეცეს მე ავტომობილი მთელი ცხოვრების განმავლობაში სახმარად. მე მაინც არ ვეთანხმებოდი, ვინაიდან ავტომობილს ყოლა ეწინააღმდეგება ჩემს უბრალო ჩვეულებებს:

გავიდა ბევრი დრო, სანამ კრანტმა დამითანხმა მისი წინადადების მიღებაზე. დასასრულ ჩვენ შევთანხმდით, რომ მას შეეტანა ბანკში ჩემს სახელზე განსაზღვრული თანხა, რომლის პროცენტებით და აგრეთვე ავტომობილით მე უნდა მესარგებლა ჩემი ცხოვრების განმავლობაში. მე ძლიერ ვწუხვარ, რომ მიხდება ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მე ჩემს ვალათ ვრაცხ დაიცვა ჩემი ძველი და კეთილი მეგობარი, რომელმაც ღირსეულათ დაიმსახურა მეფის მიერ ნაბოძები ბარონეტის ტიტული. კრანტის პირად სიკეთეს და ჩემდამი მისი კეთილ განწყობილებას ისეთივე კავშირი აქვს ამ ჯილდოსთან, როგორც შარშანდელ თოვლს".

ამგვარათ თვით მაკდონალდის განმარტებიდან სჩანს, რომ მან მიიღო კაპიტალისტისა და კონსერვატიულ პარტიის წევრისაგან საჩუქრის სახით ავტომობილი და მუდმივი წლიური თანხა ათას გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

მაკდონალდის „მოსაზრებანი"

ლონდონი, 14 სექტემბერი. „ივნინგ სტანდარტ"-ის უკანასკნელ ნომერში მოყვანილია რამოდენიმე ადგილი მაკდონალდის წინასიტყვაობიდან, რომელიც დაწერილია მისი წიგნის „კრიტიკული და კონსტრუქტიულ სოციალიზმის" ახალ გამოცემისათვის.

ამ წინასიტყვაობაში მაკდონალდი მხურვალეთ იცავს კლასობრივ თანამშრომლობის იდეას და აცხადებს: **„გაფიცულ მუშებს ავიწყდებათ, რომ ყველა ისინი წარმოადგენენ ერთი საზოგადოებრივ გაერთიანების წევრთ და რომ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებით ისინი ავნებენ საკუთარ ინტერესებს".**

შემდეგ ის სწერს: **„გაფიცვებს, შრომის ხელფასის გადიდებას და წარმოების შემცირებას არა თუ არ მივყევართ სოციალიზმისაკენ, არამედ, პირიქით, მათ შეუძლიათ ყალბ გზაზე დააყენონ სოციალისტური განვითარება".**

ლანსბერიმ ამ აზრების შესახებ „სტანდარდ"-ის თანამშრომელს განუცხადა:

„მე პირდაპირ არ მესმის ეს. ვფიქრობ, რომ პრემიერი ძლიერ დაქანცული იყო, როდესაც სწერდა ამ სტრიქონებს; მე არ მინახავს არც ერთი ტრედიუნიონისტი, რომელსაც გაფიცვა მიუღებლად ჩაეთვალა. მე ვფიქრობ, რომ მუშათა მოძრაობის პროფესიონალური და პოლიტიკური მხარეები განუწყვეტლად არიან ურთიერთ დაკავშირებულნი და რომ მუშა ვერას დროს ვერ უარყოფს თავის უფლებებს გაფიცვაზე მისი საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის. **კონფლიქტებს მუშებსა და დამქირავებლებს შორის ყოველთვის ექმნება ადგილი, ვიდრე არსებობს კაპიტალიზმი".**

ტრედიუნიონების მეორე გამოჩენილმა მოღვაწემ ვენ ტილეტმა „ივენინგ სტანდარდი"-ს წარმომადგენელს შემდეგი განუცხადა:

„არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც სურს ყოველი დარგის ცოდნა, არ შეუძლია, გახდეს სპეციალისტი რომელიმე ცალკე დარგში. მაკდონალდი ცუდათ იცნობს პროფმოძრაობის საკითხებს და ამიტომ მისი კრიტიკა არ არის უფრო ავტორიტეტული, ვიდრე სხვა რომელიმე პოლიტიკური მოღვაწის აზრი. საქმე იმაშია, რომ მას არ აქვს უშუალო გამოცდილება ამ საქმეში, ხოლო უკანასკნელ რვა თვის განმავლობაში მას იმდენი სხვა საქმე ჰქონდა, რომ არ შეეძლო პროფესიონალ მოძრაობის სპეციალური შესწავლა".

მდგომარეობა ჩინეთში

ამხ. კატაიამას მოხსენება ბაქოში

ბაქო. 15 სექტემბ. 14 სექტემბერს ბაქოში შესდგა თურქულ გაზეთ „კომუნისტი"-ს მუშკორთა საზოგადო კრება, რომელზედაც კომინტერნის აღმასკომის წევრმა ამხ. კატაიამამ და პროფინტერნის წევრმა ამხ. ტაკამ მოხსენება გააკეთეს ჩინეთის მდგომარეობის შესახებ.

ეხლანდელ განმანთავისუფლებელ რევოლიუციონურ მოძრაობის ბელადი სუნ-იატ-სენი,—სთქვა ამხ. კატაიამამ,—არის სამხრეთ-ჩინეთის (კანტონის) მთავრობის თავმჯდომარე და ამავე დროს ბელადი ჩინეთის უდიდესი ეროვნულ პარტიისა—„გომინდან"-ის, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული მთელი ქვეყნის გაერთიანება მთლიან ერთეულში.

კაპიტალისტური წესწყობილება არას დროს არ მისცემს ჩინეთს გაერთიანების საშუალებას. პირიქით, იგი ცდილობს დაქუცმაცოს ჩინეთი, რადგან ეს ხელს უწყობს კაპიტალისტურ ყვლეფას. ჩინეთის გაერთიანების ერთად ერთ საფუძველს წარმოადგენს კომუნიზმი. გომინდანის პარტიამ შეიგნო ეს.

პარტიულმა ყრილობამ ამიტომაც დაადგინა მისცეს პარტიას კომუნისტური მიმართულება. ჩინეთის ბურჟუაზია, რომელიც მანამდე მხარს უჭერდა გომინდანს, პარტიის მიერ ახალ გზის აღებისთანავე ჩამოსცილდა მას. სამაგიეროთ მას შემდეგ, რაც კომინტერნმა მოიპოვა გომინდანზე დიდი გავლენა, მუშებმა აღმოუჩინეს მას თავიანთ მძლავრი დახმარება.

თვით გომინდანში განხეთქილება ჩამოვარდა. გამიჯნულმა უმცირესობამ ადგილობრივ ჩინელ ვაჭრების დახმარებით შექმნა ფაშისტური მოძრაობა, რომელიც შემდეგ გადაიქცა ეხლანდელ ამბების სათავედ.

ბრძოლა სუნ-იატ-სენის წინააღმდეგ, რომელმაც კომუნისტურ გზის აღების შემდეგ დაჰკარგა ბურჟუაზიის ერთი ნაწილის დახმარება, გრძელდება. მუშათა მასები და რადიკალური ინტელიგენცია მხარს უჭერენ სუნ-იატ-სენს.

ბრძოლა იმპერიალისტებისა და ფაშისტების წინააღმდეგ ჩინეთში სულ უფრო ძლიერდება. უცხოელთა ძალადობისაგან განთავისუფლების მისწრაფება დღითი-დღე იზრდება. მანჯურია ეხმარება სუნ-იატ-სენს ბრძოლას პეკინის მთავრობის წინააღმდეგ. განთავისუფლებელი მოძრაობა ჩინეთის ხალხში მეტად მძლავრია. ძნელი წარმოსადგენია, რომ უცხოეთის იმპერიალისტებმა გაბედონ ჩინეთში მომხდარ ამბებში აშკარათ ჩარევა.

იაპონიის განწყობილება ამ ამბებისათვის უთუოთ ხელსაყრელი იქნება სუნ-იატ-სენის პარტიისათვის. ინგლისის პოლიტიკური გავლენა ჩინეთზე კლებულობს 1920 წლის შემდეგ. 1923 წლის სექტემბრის მიწისძვრამ ძლიერ შეასუსტა იაპონიის ეკონომიური, ფინანსიური და სამხედრო მდგომარეობა. მისი უთანხმოება ამერიკასთან გამწვავდა. ამერიკაში გამოცემულმა კანონმა, რომელმაც აუკრძალა ყველა აზიელებს ცხოვრება ამერიკაში, აავსო იაპონელთა მოთმინების ფიალა და საფუძველი ჩაუყარა მძლავრ ანტი-ამერიკულ მოძრაობას. ყოველივე ეს მოწმობს, რომ იაპონია გახდება ჩინეთის ხალხის მეგობარი. გომინდანის პარტია არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ მას ჰყავს ბევრი კარგი მუშაკი—და იგი იმყოფება კომუნისტურ პარტიის გავლენის ქვეშ. კომპარტიის ბევრი წევრი ინდივიდუალურათ შედიან გომინდანში. ჩინელი კომუნისტები თანაგრძნობით ეპყრობიან მას და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გააფართოვონ და გააღრმავონ მისი მუშაობა. ჩინეთის პროლეტარიატი მრავალრიცხოვანი არ არის, მაგრამ მისი მთლიანობა და სიმტკიცე იშვიათია. ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენს გონკონგის მეზღვაურთა გაფიცვა და გაფიცვა პეკინ—ხანკეს რკინის გზის ხაზზე, რომლის დროს მკაფიოთ გამომჟღავნდა ჩინელ მუშათა სოლიდარობა ინგლისელებთან ბრძოლაში.

ჩინეთის მუშათა კლასი მხარს უჭერს სუნ-იატ-სენსა და მის პარტიას, რასაც მიმდინარე ბრძოლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან პროლეტარული მოძრაობა ჩინეთში საათობით იზრდება".

კატაიამას შემდეგ გამოვიდა პროფინტერნის წევრი ამხ. ტაკა, რომელმაც სთქვა:

„ბრძოლა პეკინის მთავრობასა და სუნ-იატ-სენის შორის არის კაპიტალიზმის ბრძოლა მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. მას შემდეგ რაც რევოლიუცია ჩაქრობილ იქნა გერმანიაში, იგი მოდის აღმოსავლეთს. ამერიკა ცდილობს თავის კონტროლს დაუმორჩილოს ჩინეთის მთელი ცხოვრება. მაგრამ მას გზას უღობავს იაპონია. იაპონიის მთავრობას არ მოსწონს საბჭოთა კავშირი და ამიტომ იაპონია ვერ ბედავს პირდაპირ დაეხმაროს სუნ-იატ-სენს, რომელიც კომუნისტურ გზას დაადგა, მაგრამ სამაგიეროთ იგი (იაპონია) მხარს უჭერს მანჯურიის გუბერნატორს, რომელიც სუნ-იატ-სენს მიემხრო.

ჩინეთის ამბებს უნდა შევხედოთ როგორც მსოფლიო განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ის რაც ეხლა ჩინეთში ხდება, შეიძლება გახდეს ახალი მსოფლიო ომის და საერთო რევოლიუციონურ მოძრაობის დასაწყისი მთელს აღმოსავლეთში".

მუშკორთა კრებამ ორივე მოხსენების მოსმენის შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სალამს უძღვნის ჩინეთის რევოლიუციონურ განმანთავისუფლებელ მოძრაობას და საჭიროთ სცნობს ბაქოში საზოგადოება „ხელი შორს ჩინეთისაგან"-ის განყოფილების დაარსებას, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. კატაიამა და საპატიო თავმჯდომარეთ—ამხ. ტაკა. **დადგენილია აგრეთვე ყველა მუშკორების შეყვანა ამ საზოგადოების წევრთა რიცხვში.**

ტყუილი ასეთი უნდა!

ლონდონი, 15 სექტ. ქართველ მეამბოხეთა შიკრიკი, რომელიც ბათომიდან ტრაპეზუნდში ჩამოვიდა, იუწყება, რომ ბოლშევიკების სამხედრო გემები გამზადებული არიან ბათომისათვის ყუმბარების დასაშენათ როდესაც აჯანყებულები შევლიან ბათომში. აჯანყებამ დიდი მღელვარება გამოიწვია ანგორაში. მუსტაფა ქემალი სასწრაფოთ ჰგზავნის კრეისერ „ჰამიდიე"-ს მდგომარეობის გამოსარკვევათ. მიმდინარე დღეებში ბრძოლები სწარმოებენ წინანდელ გაფთრებით. რევოლიუციონერებმა შესწყვიტეს მისვლა-მოსვლა რკინის გზაზე და 6 სექტემბერს ღამით დაიკავეს თბილისი, მაგრამ ბოლშევიკებმა ქალაქი უკან დაიბრუნეს. საქართველოს ყველა დანარჩენი ქალაქები, გარდა ბათომისა, დაჭერილია „რევოლიუციონერების" მიერ, რომლებიც აგროვებენ ძალებს ბათომის ასაღებათ. ბოლშევიკებმა ბათომიდან გაგზავნეს ძლიერი რაზმები ამ მოძრაობის შესაჩერებლათ. ორივე მხარე დახრჩობით სჯიან ტყვეებს. საქართველოს ყველა ადგილობრივი საგანგებო კომისიები განადგურებულია და მათი პერსონალი ამოჟლეტილია. „რევოლიუციონერებმა" ხელთ იგდეს ლიანდაგიდან ჩამოვარდნილი 5 ჯავშნიანი მატარებელი.

აზერბეიჯანში რევოლიუციონერებმა დაამარცხეს ბოლშევიკური გარნიზონები და ბაქოს შეუტიეს.

ნავთის ყველა სარეწაოები აჯანყებულების ხელშია. შეწყვეტილია ნავთის ზიდვა რუსეთში.

დაღესტანში და ჩრდილოეთ-კავკასიაში აჯანყდენ აგრეთვე მთიულები, ანტი-ბოლშევიკური მოძრაობა ყუბანზე ვრცელდება.

„დეილი-მეილი"-ის კორესპონდენტი კონსტანტინოპოლიდან ადასტურებს ქუთაისის აღებას. მისი ცნობით ბრძოლა სწარმოებს რკინის გზის ხაზზე. აჯანყებულებმა დაანგრიეს რკინის გზის გვირაბი თბილისსა და ბათომს შუა. აღმოსავლეთ საქართველოში ამავე კორესპონდენტის სიტყვით „მდგომარეობა ჯერჯერობით გამოურკვეველია". მაგრამ მას ცნობა აქვს, რომ აჯანყება მოედო აზერბეიჯანსაც და ბაქოს ემუქრება.

საქართველოს პარიზელი მისსია იუწყება, მდგომარეობის იმდენათ გამწვავების შესახებ, რომ ტროცკი პირადათ ხელმძღვანელობს აჯანყებულთა წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოთა ჯარს.

სხვა და სხვა ამბები

— **არ მოსწონთ.** პოლონეთის პრესას ძლიერ არ მოსწონს საბჭოთა კავშირის საზღვაო წითელი ფლოტის სიარული ბალტიის ზღვაში. გაზეთები სწერენ, რომ ამით საბჭოთა კავშირს სურს გავლენა მოახდინოს ევროპის სახელმწიფოებზეო.

— **ავსტრიის კომპარტიაში.** კომინტერნის აღმასკომის დელეგაციამ და ავსტრიის კომპარტიამ გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავენ რომ საჭიროა პარტიულ რიგების ამოძრავება საფაბრიკო-საქარხნო იაჩეიკებში და ყოველგვარ ფრაქციული უთანხმოების დავიწყება.

— **ისევ სავინკოვზე.** ყოფილი ესერი სემიონოვი აღნიშნავს გაზეთებში, რომ სავინკოვის მოსკოვში ჩამოსვლის მიზეზი იყო ის, რომ სავინკოვს ევროპამ მოუსპო სუბსიდიები.

უკანასკნელი ცნობები

ტკბილი ოცნება

პარიზი. 15 ენკ. როგორც იტყობინებიან, საქართველოს ა მოედო მთელ კავკასიას.

ჩინეთის მთავრობის განცხადება

ლონდონი. 15 ენკ. პეკინის მთავრობამ განაცხადა, რომ ი ლივე ძალღონით შეეცდება ხელი შეუშალოს უცხო სახელმ ჩინეთის საქმეებში ჩარევას.

მეტს რას მოველით ბურჟუაზიიდან

ბერლინი. 15 ენკ. ლეიპციგის (გერმანიაშია) უმაღლესმა სა ლომ 12 წლის კატორღა გადაუწყვიტა მთელ რიგ კომუნისტებს, თაც ბრალად ედება იარაღის ხელში ჩაგდება.

პუანკარეს მუქარა

ბერლინი. 15 ენკ. ხედანში პუანკარემ წარმოსთქვა სიტყ მელშიც გაილაშქრა გერმანიის წინააღმდეგ. მან განაცხადა: „მ არ უნდა დაივიწყოს, რომ ის ჯერ კიდევ მოკავშირეების ხ პუანკარეს ამ სიტყვას სთვლიან გამოწვეულს იმ შიშიდან, რო ყოფილი პრემიერი დააფრთხო უკანასკნელ ხანში გაზეთებში ბულმა კამპანიამ.

შეტაკება მონარქისტებთან

პარიზი. 15 ენკ. შტეტინის (გერმანია) მიდამოებში მოხდა ბა კომუნისტებს და მონარქისტებს შორის. მოკლულია ერთი, ლია 6.

შენობა დაუბრუნეს

ნაუენი. 15 სექტ. პეკინიდან მიღებული ცნობით, შაბათს ს კავშირის ელჩს კარახანს ოფიციალურად გადაეცა რუსეთის ს შენობა პეკინში.

ბრძოლა მაროკოში

ნაუენი. 15 სექტ. რეიტერის სააგენტოს ცნობით გიბრალ კაბილებმა დაიკავეს ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ა ტეტუანსა და შეშუანს შორის. 7000 კაბილი შევიდა ტ დაკავებულია აგრეთვე მაღლობები ტუანიდან სამხრეთით.

ლონდონი. 15 სექტემბ. „დეილი მეილი"-ის ტანჟერელი კო დენტი იტყობინება, რომ კაბილებმა დაიკავეს ესპანელების სა საკომუნიკაციო ხაზზე ფონდოკსა და არძილას შორის, საშუალებით ხდებოდა უმთავრესად სურსათ-სანოვაგის მიწოდებ დატისათვის.

პარტიული ცხოვრე

დღეს, სამშაბათს, 16 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგ

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტ

პრეზიდიუმის სხდომა

სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების და

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუ

პარასკევს, 19 სექტემბერს, ერთიან პარტიულ დ

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას უჯრედებს წამოაყენონ საკითხი

„შრომის ნაყოფიერების და სამუშაო ხელფ შესახებ"

მასალად გამოდგება თბილისის კომიტეტის მიერ გამოცემული ბ უჯრედების მდივნებისა და პასუხისმგებელ მიმაგრებულ ამხანაგ გაკეთებული იქნება საინსტრუქციო მოხსენება პარტკლუბის შ შაბათს, 18 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუ

კომკავშირის საგამომცემლო მუშაობა

ძლიერ სუსტი იყო კომკავშირის გამომცემლობა საქართველოს გასაბჭოებამდე, ამისთვის მას საშუალება არ ჰქონდა. იცემოდა ცალკე ფურცლები და მოწოდება-ბროშიურები, რომლებიც რა თქმა უნდა ნაწილობრივადაც ვერ აკმაყოფილებდენ კავშირის წევრებს.

21 წლიდან იწყება საგამომცემლო მუშაობის გაფართოება. გამომცემლობა შეეცადა—მძიმე ეკონომიურ პირობებში შეძლებისამებრ—დაეკმაყოფილებინა კავშირის მიუცილებელი მოთხოვნილებანი.

დღემდე გამოსულია 25 გამოცემა (პერიოდულ გამოცემათა და სხვა საიუბილეო გამოცემათა გარეშე).

თუ გადავხედავთ ამ გამოცემებს, დავრწმუნდებით, თუ რა მრავალფეროვანი ყოფილა კომკავშირის მოთხოვნილებანი.

— კომკავშირის მასას სჭირდება, როგორც საპროგრამო, ისე ისტორიული, თეორეტიული, სამხატვრო, პოლიტიკური და სამეცნიერო გამოცემანი. ამიტომაა ძნელი მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება (უმთავრესად ეკონომიურად). გამომცემლობა შეეცადა ცალკ-ცალკე ყველა ამ საკითხების შესახებ რამოდენიმე წიგნი მაინც გამოეცა.

აი მაგალითად, აღნიშნულ 25 გამოცემათა შორის, მოიპოვება:

კომკავშირის ისტორიული ხასიათის გამოცემანი—3, პროგრამული—3, სამხედრო-მეცნიერული—2, ანტირელიგიური—3, პოლიტიკური—3, მეცნიერული—3, ლიტერატურულ-მხატვრული—5, სხვადასხვა—3, სულ 25.

საერთო ტირაჟის მხრივ ჯერ შედეგები უმნიშვნელოა. ყველა ამ გამოცემათა საშუალო ტირაჟი 2.000 უდრის.

აღსანიშნავია მათ შორის ორი გამოცემა, რომლებიც გასცილდენ საერთო ტირაჟს და მეორე გამოცემასაც მოითხოვენ. ეს პოლიტიკურ საუბართა კრებულია (ტირაჟი 5.000) და აგრონომიულ საუბართა კრებული. უკანასკნელი, უნდა ითქვას, რომ ახალი მოვლენაა საქართველოს მასშტაბით, და შეიცავს რა დიდათ საჭირო და საინტერესო მასალებს აგრონომიიდან, საჭიროა მისი გავრცელება როგორც კომკავშირის, ისე საერთოდ გლეხურ მასაში.

მაგრამ რაც მთავარი და ნაყოფიერია კომკავშირის გამომცემლობაში, ეს პერიოდული ორგანოებია, რომლებსაც მთელი გამომცემლობის თითქმის ორი მესამედი ძალა და ენერგია ეთმობა, რომლებიც სარგებლობენ პოპულიარობით არამც თუ კომკავშირის მასაში, არამედ საერთო ფართო პარტიულ საბჭოთა მასაში.

„ახალგაზრდა ლენინელი" („მომავალი") ჟურნალს კარგი ხნის ისტორია აქვს. იგი უკვე სამი წელია გამოდის. პირველად იგი ვიწრო პარტიული საკითხებით იყო დატვირთული და ამიტომ გარდა კავშირის აქტიურ ფენებისა, მას არავინ კითხულობდა.

მაგრამ ორი წელია, რ განყოფილებები გაიზარდა დიდძალი შინაარსით. განყო მრავალფეროვანებით აი რომ იგი იზიდავს ახალგ სხვადასხვა საკითხებით დაი ბულ ფენებს.

ამ ჟურნალმა უკვე დიდი ითამაშა საქართველოს ლი ტურის ისტორიაში. მან ბრძოლა აწარმოა საქა ანტიკომუნისტურ იდეოლ ნააღმდეგ, და შეიძლება ითქვას, ეს ჟურნალი სწო რებს პარტიულ ხაზს. ამ ბევრი ახალგაზრდა, ნიჭიერ ლები, პოეტები და პუბლ შესძინა კომკავშირს.

ეხლა შევეხოთ ჟურნალის ცალკე განყოფილებებს. ლება, რომელიც „ლენინიზმის" სახელწოდებით საჭიროა, მასალები კარგი მიდის, მაგრამ ამ განყოფი სჩანს ორიგინალური ქართ მით უმეტეს კომკავშირელ დაწერილი წერილები.

განყოფილება ლიტერატ როგორც ყრილობამაც აღნ ლაზე უფრო ნაყოფიერ მარქსისტულ თეორეტიულ ფილებაზე ყრილობამ სასტ ჩენი გამოიტანა მისი არა რობისათვის და იგი სრულ წორებულია, თუმცა არც და გვეშინოდეს თეორიის.

აღსანიშნავია, რომ მ განყოფილებას დიდი როლ ნა ყრილობამ და ეს სამარ იყო; მხოლოდ აღსანიშნავი განყოფილებამაც სრულიად ცა კომკავშირელი.

ყველაზე სუსტ ნაწილად ჩაითვალოს დღესაც (ყრილ დეგ) კავშირის ცხოვრების ლება. და ეს ძლიერ სიმპ ცაა. აქ არ შუქდება კ მთელი თავისი სიგრძე-სიგა შუქდება მისი ყოფა-ცხოვ შუქდება მისი ამოცანები დ

ასევე უნდა ითქვას დან განყოფილებაზე, თუმცა და ბიბლიოგრაფია" ხანდახ დარია.

ტექნიკურად ჟურნალი გაუმჯობესდა, თუმცა ნაკლ აქვს. „სპარტაკი" და „Юн Правда" გაზეთის უკვე ნომრები გამოდის და ამ ღვაწლი მიუძღვის კომკავშ ნაში.

„Юношеская Правда" ახალგაზრდაა.

ორივე კომკავშირის მას ზეთებია, სადაც შუქდება რის ცხოვრება და ახალი

ზედმეტია ლაპარაკი მათ მხარეებზე. აღვნიშნოთ უა

პირველი და მთავარი ზეთები ვიწრო კომკავშირ არ სცილდება კომკავშირ

მეორე ნაკლი ისაა, რომ თითქმის მხოლოდ პრო

შევიკურ ავანტიურის გამოძახილი

ცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა ხმა

ართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თბილისში—ბერლინიდან

იერ-კავკასიის სტუდენტთა კავ- ს ქართული სექცია თავის ხანე პროტესტს და აღშფოთე- გამოსთქვამს იმის გამო, რომ ურთა და ოფიცერთა შეუგნე- ელემენტების ხროვამ, რომელ- მეთაურობდენ და სულს უდ- ენ ქართველი მენშევიკები, ცინა მორიგი ცდა შეიარაღე- ი გამოსვლისა საბჭოთა ხელი- ლების წინააღმდეგ. აღნიშნავს ღრმა კმაყოფილების გრძნობით , რომ ფართო მასებმა გამოიჩინეს სიმტკიცე ამ ავანტიურის სახწრაფოდ ლიკვიდაციის საქმეში, სტუდენტთა საზოგადოების ქართული სექცია, რომელიც გამოსულია რესპუბლიკის მშრომელი წრეებისაგან, ერთხმად აცხადებს, რომ ყოველთვის მზად არის მთავრობის პირველი დაძახილისთანავე დაიცვას საქართველოს მუშების და გლეხების ინტერესები.

ამიერ-კავკასიის სტუდენტთა კავშირის ცენტრალური ბიუროს ქართული სექცია ევროპაში.

დავით ონიაშვილის განცხადება

ამით ვაცხადებ, რომ მე უერთდები პარიტეტულ კომიტეტის და მენ- კურ პარტიის ცეკას წევრების დეკლარაციას, რომელიც გამოქვეყნდა თ „კომუნისტ“-ში № 203, 1924 წ. 6 სექტემბერს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას პრეზიდიუ- წევრი: დავით ონიაშვილი.

თია და „Юношеская правда“ ქორი; პირველში არ შუქდება ქის ცხოვრება, მეორეში სოფლის. ტექნიკურად „სპარტაკი“ მოისუს- ს.

კომკავშირის ყოფა-ცხოვრების ვა- ზაში კორესპონდენციებს ეტყობა რალე და ოქმის მზგავსი ხასიათი, ე მოითხოვს გამოსწორებას.

გრამ ყველაზე უფრო მტკივნეუ- გაზეთების გამოცემაში—ეს მათი ცელების საკითხია.

რივე გაზეთის ტირაჟი 2,400 არ დება. ეს მაშინ, როცა კომკავ- ში 22,000 წევრამდე ითვლება ან საერთო რიცხვი გამომწერ- სა კომკავშირში 20 პროცენტს ს ღა აწევს. არის ისეთი მაზრე- ოლქები, საიდანაც საერთო ვილან მხოლოდ 1 | 33 (ბორჩა- ან 1 | 20 (სოხუმი) იწერს. ეს ენა ძლიერ სიპტომიურია და მასსიურ ჩამორჩენილობაზე უფ- გაზეთების ნაკლულოვანებებზე რაკობენ.

მტკივნეული მხარე დიდ მუშაო- მოითხოვს კომკავშირის გამომ- ლობიდან.

თანახმად ყრილობის დადგენილებისა, თვითეული კომკავშირელი უნდა იწერდეს თავის გაზეთს.

კავშირის ახალ ამოცანების ზრდასთან ერთად იზრდება ჩვენი გამომცემლობის ახალი ამოცანებიც და პირველად ყოვლისა რაც უნდა შეასრულოს ამ გამომცემლობამ—ეს საკავშირო ყრილობის დაკვეთაშია.

რა დაგვიკვეთა მან?

მუშათა და გლეხ თა მასსაში პროპაგანდა, კომუნისტური აღზრდა, ახალწევრების, მუშაობაში საკავშირო მასსის ჩაბმა და ლენინური აღზრდის ორგანიზაცია.

ყველა ამ კითხვებს გამომცემლობა გასცემს პასუხს ამ ახლო მომავალში, მის უახლოეს სამუშაო პროგრამაშია, შეტანილია 24 გამოცემა, რომლებიც ისეთი მიზანშეწონილობით არიან დანაწილებული, რომ ყოველ საკითხის შესახებ გამოცემულ იქნება რამდენიმე წიგნი.

ამ წიგნთა მრავალფეროვანება და ტირაჟის აწევა დიდათ შეუწყობს ხელს კავშირის საერთო კულტურულ დონეს აწევას.

შ. ქიქოძე

გაფრთხილება

რაჭ-პიატიგორიდან მენშევიკური ბან- ის მიერ გატაცებულია შო- ფილის სამაზრო პარტკომის ბეჭედი. ყველგვარი მანდატები გაცემუ- სამაზრო პარტკომის მიერ ზემო- აღნიშნული ბეჭდის დასმით ჩაითვალოს გაუქმებულად. სამაზრო პარტკომის მიერ იქნება შეძენილი სხვა ფორმის ბეჭედი.

სამპარტკომის პ. | მ. მდივანი
კ. ხულაძე.

მხეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი

რიბ ერევანი, 15 სექტ. დამთავრდა სომხეთის კომპარტიის ცეკას პლე- ოთვეში.

ოგრამის წესრიგში, გარდა ცეკას პრეზიდიუმის მოხსენებისა, დასმული იყო აგრეთვე მთელი რიგი სამეურ- ნეო საკითხებისა.

ცეკას მდივანმა ამხ. იოანესიანმა აღნიშნა ის წარმატებები, რომელსაც აღწია პარტიამ და საბჭოთა ხელი- ფლებამ ეკონომიური მშენებლობის დარგში, განსაკუთრებით სასოფლო ეურნეობაში და მრეწველობაში. , ფრწყავი მუშაობა, შირაქის, ერევა- შერს არხების გაყვანა, „ჰიდრო სტრო- ებას“ მუშაობა და სხვ.) ამჟამად სომ- ხეთში შექმნილია წინასწარი პირო- ბი წარმოების ელექტროფიკაციი- თვის. ბამბის საწმენდი ქარხნის ენება და სიძარკვლის ჩაყრა სა- ეიქრო ფაბრიკისათვის ლენინაკანში წარმოადგენენ მნიშვნელოვან ნაბი- ებს საფეიქრო მრეწველობის დარგში. სამთამადნო მრეწველობის დარგში ახალ წარმატებას მოწმობს კატარის ქარხნების აღდგენა.

გაწეულია დიდი მუშაობა კოოპერაციის დარგში: თვალსაჩინოა კოოპერატიული დუქნების და განმაწილებელ პუნქტების რიცხვის ზრდა. იანვარში კოოპერატივების რიცხვი არ აღემატებოდა 3.500. ამ ჟამად კოოპერაციაში ჩაბმულია მოსახლეობის 13 პროცენტი. კოოპერაციის ადგილობრივი ბრუნვა ივლისის განმავლობაში უდრიდა—130,000 მ. გაიზარდა აგრეთვე კოოპერაციის საბრუნავი კაპიტალი და აგრეთვე საგრძნობლად შემცირდა ზედ დართული ხარჯები. ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგშიც.

ცეკა შეუდგა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის ხელმძღვანელობას აკრეფილი უნდა იქნეს 1,500,000 მანეთი.

ახალგაზრდა კომუნარების დღე

(შთაბეჭდილებანი)

კვირას, 13 სექტემბერს თბილისის ალგაზრდა კომუნარებმა გადაიხადეს თავისი დღესასწაული.

ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირი, რომელიც რამოდენიმე დღის წინად ევოლიუციის სადარაჯოზე იდგა და მედგულად მოელოდა მტრის მკაცრ შემოტევას, ამ დღეს განსაკუთრებული ზეიმით დღესასწაულობდა თავის რევოლიუციონური ნათლობას.

კომკავშირელთა რიგებით სავსე თბილისის ქუჩები, დროშები, პლაკატები გამოხატავდენ რევოლიუციური ახალგაზრდობის არა მარტო ბრძოლის სურვილს ძველს ქვეყანასთან, არამედ დროშები გმირული წარწერებით ოწმობდენ უკვე შესრულებულს ფაქტს, რომ საქ. ახალგაზრდობის კომკავშირმა თავის სისხლით შეღება ეს წითელი დროშა, თავისი ძვლებით შეამოხიერა დიდი რევოლიუციის ბალაგი.

და ამ ახალგაზრდა გმირებს სრული უფლება ჰქონდათ, რომ ასეთ მწარე დაცინვით მოეგონებიათ ისინი, ვინც სიტყვით რევოლიუციონერებს უწოდებენ ხოლო საქმით კი აბრკოლებენ შრომელთა განთავისუფლებას.

დატყვევებული კონტრ-რევოლიუცია ტრამვაის რკინის ფანჯრებიან ვაგონში, არ იყო მხოლოდ ბურჟუაზიის მომავალი ბედის სიმბოლიური გამოხატულება, ეს იყო მინიატურა მისი, რაც უკვე მოხდა საბჭოთა კავშირში.

დღეს საბჭორა კავშირის ბურჟუაზია იმყოფება არა მარტო ხელისუფლების ტყვეობაში, იგი გარშემორტყმულია კომუნისტური ახალგაზრდობით, რომელიც თავისი მაგორი კბილებით ღრღნის ბურჟუაზიის, ამ დაბერებული ხის გამხმარ ფესვებს. ახალგაზრდა რევოლიუციონერები ზეიმობენ.

აზნაურად, მღვდლად, მენშევიკად, ფაშისტად, კაპიტალისტად გადაცმულნი დადიან ქუჩებზე ახალგაზრდები, რომელნიც მიმიკით, სიტყვით, მიხვრა მოხვრით, იძლევიან ამ განწირულთა ზედმიწევნით სწორ მხატვრულ დახასიათებას.

ეს არ არის შარჟი და კარიკატურა,—ეს სინამდვილეა,—აუცილებლად იტყვის რევოლიუციონერი, რომელსაც უგრძვნია და უცვნია ხასიათი ამ „ყოფილ ადამიანთა“.

ახალგაზრდა პიონერებიც აფერადებენ ჩვენი ახალი თაობის ამ საზეიმო გამოფენას.

მუსიკის ჰანგები აღვივებენ ამ მომავალ გმირთა გულებში რევოლიუციას და სიცოცხლის წყურვილს.

აგალგაზრდები ამბობენ სიტყვებს, მაგრამ რა სიტყვებმა უნდა გამოხატონ ის, რასაც ამბობს თვით საბჭოთა ქვეყნების განსახიერებულ მომავალის—ახალი თაობის ასეთი გიჟური თავგადადება რევოლიუციისათვის. უძლეველია რევოლიუცია, რომელიც ზრდის ახალ თაობას არა ათეულებით და ასეულებით, არამედ მილიონობით.

„ერთი მილიონი კომკავშირელი“—ქედს მოახრევინებს არა ერთს სტავინკოვს.

ასე გაიფიქრებდა ყოველი შორსმჭვრეტელი მოქალაქე 14 ენკენისთვეს, — ახალგაზრდა კომუნართა დღეს.

X.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის ოფიციალური კურსი 15 სექტემბერს.

გირვ. სტერლინგი ეფ.	—8 მ. 67 კ.
გირვ. სტერლ. ჩეკი	—8 მ. 32 კ.
დოლარი ეფექტი	—1 მ. 94 ნახ. კ.
დოლარი ჩეკი	—1 მ. 84 „
ოსმალ. ქაღ. ლირა	—1 მ.
იტალ. ლირა 100 ცალი	—8 მ.

ა. ქ. სახელმწ. ვაჭრ. სამ. ოპერაციები.

უცხოეთის კრედიტი.

ა. ქ. სახელმწ. ვაჭრ. სამმართველომ მიიღო კონსტანტინოპოლში მყოფ თავისი წარმომადგენლისაგან ცნობა, რომ უცხოეთის ბანკები წინადადებას აძლევენ სამმართველოს მიიღოს მათგან კრედიტი კონსტანტინოპოლში ჩამოსატან საექსპორტო საქონლების უზრუნველყოფით. პირველი შეთანხმება უკვე მიღწეულია ერთ მსხვილ ბანკთან, რომელმაც გაუღო სამმართველოს საქონლით უზრუნველსაყოფი კრედიტი.

ნიზილალის ექსპორტი

სამმართველოს მიერ კონსტანტინოპოლში გაგზავნილი 1000 ფუთი ნიზილალა სავსებით გასაღებულია. ამიერ-კავკასიის ნიზილალამ კვლავ მოიპოვა საგარეო ბაზარზე ის ადგილი, რომელიც მან დაჰკარგა მით, რომ საზღვარ გარეთ ეზიდებოდენ ცუდათ დამუშავებულ და მდარე ღირსების ნიზილალას. ამ ჟამათ აზერბეიჯანის თევზის სამმართველოსთან შეთანხმებით ამიერ-კავკ. სახ. ვაჭრ. სამმართველო საზღვარგარეთ აგზავნის უმაღლეს ხარისხის ნიზილალას.

შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატში

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში გამომუშავებულია პროექტი დადგენილებისა, რომელსაც მიზნათ აქვს მსხვილ მებითუმე ვაჭრების გამორიცხვა სახელმწიფო მრეწველობასა და წვრილ ვაჭართა სავაჭრო ურთიერთ დამოკიდებულებიდან. პროექტი ანგარიშს უწევს კერძო წვრილ ვაჭრობის აუცილებლობას არსებულ ეკონომიურ პირობებში, მაგრამ იმ მიზნით, რათა მას შეეძლოს უშუალო კავშირის დაჭერა სახელმწიფო წარმოებებთან, შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატი აწესებს წვრილ ვაჭრების რეგისტრაციას თბილისში, ბაქოში, ერევანში, და სხვა პუნქტებში საქონლის—საფონდო ბირჟებისა და ალმასკომებთან არსებულ ფასების მომწესრიგებელ კომისიების საშუალებით.

ამ სიების მიხედვით წვრილ ვაჭრებს გაეცემათ საქონელი განსაზღვრულ რაოდენობით და განსაზღვრულ ვადით. სიები ყოველთვიურათ გადაისინჯებიან საჭირო შესწორების შეტანით. პროექტი მზად არის და გამოქვეყნებული იქნება დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმების შემდეგ

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

აბასთუმანის საკურორტო სამმართველოს რევიზია

საქ. მ.-გ. ინსპექციის კომისიამ მოახდინა აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს რევიზია. რევიზიამ გამოარკვია, რომ საკურორტო სამმართველოს მიერ სხვადასხვა პირებთან და ორგანიზაციებთან დადებული ზოგიერთი ხელშეკრულება სავსებით არ სრულდება კონტრაგენტების მიერ და თანაც არ იძლევა საკურორტო სამმართველოს ინტერესების გარანტიას.

მოქ. კაიფაჯიანცთან დადებული ხელშეკრულება მასზე ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეული სახლის იჯარით გადაცემის შესახებ, ხაზინისათვის საზარალოდ იქნა ცნობილი. საამშენებლო-ტეხნიკური სამუშაოები ვერაა დამაკმაყოფილებლად დაყენებული, ერთის მხრით საკმაო საშვალებათა უქონლობით, მეორეს მხრივ იმიტომაც, რომ მთავარ საკურორტო სამმართველოს საამშენებლო-ტეხნიკურ განყოფილების მიერ არაა გაწეული სათანადო ხელმძღვანელობა. არ არის კურორტის ქონების სათანადო აღრიცხვა, რის გამო უკანასკნელი ნაწილობრივ იკარგება.

მ.-გ. ინსპექციის კოლეგიამ დაავალა მთავარ საკურორტო სამმართველოს შენიშნული დეფექტების გამოსწორება. აღძრულია აგრეთვე საკითხი აბასთუმნის დახურულ კურორტად (კერძო პირების სამუდამოდ ჩასახლების აკრძალვა) გამოცხადებისა და ზოგიერთი სახლების საიჯაროთ სახელმწიფო, პროფესიული და სხვა ორგანიზაციებზე გადაცემის შესახებ.

შრომის სასამართლო

„რეალური“ ხელფასი

მოქ. სანდრო ბუდიკაშვილს, ავჭალის მცხოვრებელს, დაქირავებული ყავდა კერძო წესით მუშა ალიანცი. უკანასკნელმა იმუშავა მასთან 10 თვე, რის შემდეგ დათხოვნილ იქნა უჯამაგიროთ და ულიკვიდაციოთ. მომჩივნის ხვედრი ფული შეადგენდა 180 მანეთს. სასამართლოში მოპასუხემ განაცხადა, რომ დათხოვნისას მან მისცა მოჯამაგირეს ნამუშევრისათვის ორი მოზვერი, რომლებიც როგორც შემდეგ გამოირკვა, უკან დაუბრუნებია იმ მოსაზრებით, რომ „მოჯამაგირე უკმაყოფილო დარჩა მოზვრებით“.

სასამართლომ ასეთი ანგარიშის გასწორება არ ჩასთვალა დამაკმაყოფილებლათ და მოპასუხეს მიუსაჯა 54 მანეთის გადახდა მომჩივნის სასარგებლოდ.

შრომის უფლების აღდგენა

სერაფიონ ფანცხავის სამკერვალოში მუშაობდა ახალგაზრდა (არა სრულწლოვანი) შეგირდი კაში. ამა წლის 5 აგვისტოს შეგირდი დათხოვნილ იქნა, როგორც „არანორმალური“ და მაშასადამე, მუშაობისათვის გამოუსადეგარი. სასამართლოს ძიებამ კი გამოარკვია, რომ მოულოდნელ დათხოვნის მიზეზი იყო არა შეგირდის სულიერი თვისებები, არამედ ის გარემოება, რომ დამქირავებელს „ხელს არ აძლევდა“ მოზარდ შეგირდისათვის კანონით დაწესებული 6 საათის სამუშაო დღე. პროფკავშირის შუამდგომლობით და სასამართლოს დადგენილებით შეგირდი აღდგენილ იქნა თავის უფლებებში.

ქრონიკა

— **მეცადინეობის დაწყება სასწავლებლებში.** განათლების კომისარიატის დადგენილებით, ნაცვლად 20 ენკენისთვისა, სწავლა დაიწყება ყველა საფეხურის სკოლებში, გარდა უმაღლესი სასწავლებლებისა, 1 ოქტომბერს.

უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობის დაწყების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

— **ავლაბრის მუშათა კლუბის გახსნა.** 14 სექტემბრიდან გაიხსნა ავლაბრის მუშათა კლუბი. ფასი ჩვეულებრივია.

გლეხების უვარგისი მუშა-საქონელის მაგიერ სალი მუშა-საქონელი. კოოპერაციამ „წითელმა ქართლმა“ გადასწყვიტა გლეხებიდან უშუალოთ შეიძინოს უვარგისი საქონელი და სამაგიეროთ სურვილისამებრ მისცეს სალი მუშა-საქონელი.

— **სავაჭრო დაწესებულებები აჭარაში.** აჭარაში ამ ჟამად არსებობს 30 სახ. სავაჭრო დაწესებულება, 17 კოოპერატიული, 1303 კერძო. სულ 1350 სავაჭრო.

— **მუშების მიღება ბირჟის გარეშე.** აჭარის შრომის კომისარიატმა წარმოება-დაწესებულებებს აცნობა, რომ კვალიფიციურ მუშების მიღება შეუძლიათ შრომის ბირჟის გარეშე.

— **რამდენი საქონელი დაიკლა.** 1 იანვრიდან ივნისამდე ქ. სასაკლაოზე დაიკლა 8990 მსხვილფეხა საქონელი და 21,106 წვრილფეხა. ხოლო ამ რიგათ ბაზარზე გაუტანიათ 113087 ფუთი ხორცი.

— **სეზონის დაწყება საზამთრო აგარაკებზე.** საზამთრო სეზონი სოხუმის აგარაკებზე დაიწყება ოქტომბრის 1-ლ რიცხვებიდან.

— ა.-კ. შრომის კომისარიატმა აცნობა ადგილობრივ შრომის დაწესებულებებს რათა თავიანთი ანგარიშები წარმოადგინონ 3 თვეში ერთხელ.

— **რამდენი სავაჭროა აფხაზეთში.** აფხაზეთში არსებობს 16 სახელ. სავაჭრო დაწესებულება—9 კოოპერატიული და 849 კერძო სავაჭრო სულ 870 სავაჭრო.

აგრონომიული სკოლები. თბ. განათლების განყოფილება მიმდინარე წელს თბილისის მაზრაში სოფ. ხაშმში, საგარეჯოში, გუნთა-კალაში და ყარაიაზში გლეხებისათვის ხსნის აგრონომიულ სკოლებს.

— **სამშობიარო დახმარების სახით** აგვისტოს განმავლობაში დამზღვევ კასამ გასცა 3,878 მან. 50 კ.

— **პენსიები ინვალიდებს.** აგვისტოში დამზღვევ კასამ ინვალიდებს დახმარების სახით მისცა 6346 მ. 34 კ.

— **დაზღვევის საქმე.** დამზღვევ კასამ დაზღვევის საქმეში კულტ-განათლების შესატანათ აგვისტოში გაიღო 202 მან. 80 კ.

— **სამხ. რევტრიბუნალში.** დღეს სამხ. რევტრიბუნალი გაარჩევს ახალწვეულ შალვა ანტონაშვილის საქმეს, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა.

— **სტენოგრაფიის კურსები.** პროფტეხნიკური განათლების განყოფილებაში არსებულ სტენოგრაფიულ კურსებზე, მეცადინეობა დაიწყება 20 სექტემბერს.

— **საბინაო ალმშენებლობა.** ახლო ხანში მოწვეულ იქნება საუწყებათაშორისო თათბირი, რომელიც გამოიმუშავებს ტყის მასალის შეძენის გეგმას.

— **სამკურნალო ბალახების მოგროვება.** სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ-საფარმაცევტო განყოფილებამ სოფ. კასპში უკვე დაიწყო სამკურნალო ბალახების შეგროვება.

— **მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.** ახლო ხანში შესდგება დაინტერესებულ დაწესებულებათა თათბირი მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესაქმნელად სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებიდან შემოსავალზე 10 პროცენტის გადადების შემოღებით.

— **ტროცკის სახელობის ახალშენი.** საბინაო კოოპერატივის ცენტრ. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა კომუნალური ბანკის წინაშე, რათა ტროცკის სახელობის ახალშენის წევრების სახლების დასამთავრებლათ და მოსაწყობათ სესხათ მიეცეს 9.000 მანეთი.

— **წყალსადენების შეკეთება მუშათა სახლებში.** წყალსადენის სამმართველომ უკვე დაასრულა მუშათა ყველა სახლებში წყალსადენის შეკეთება.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველათ.** პოლიტგანათლების მთავარ სამმართველომ გადასწყვიტა გამოსცეს ყოველდღიური გაზეთი „სინათლისკენ“ წერა-კითხვის უცოდინარობის შესახებ საკითხების გასაშუქებლათ.

— **სესხი ჯანსახკომს.** ჯანმრთელობის კომისარიატს სექტემბრისათვის გაეხსნა კრედიტი 45.750 მან. რაოდენობით.

— **დახმარება დაზღვეულებს.** ტფ. დამზღვევ კასამ აგვისტოს განმავლობაში კასის ავადმყოფ წევრებს დახმარების სახით მისცა 52.876 მ. 86 კ.

— **უმუშევრების გაწმენდა.** გუშინ 15 სექტემბერს დაიწყო უმუშევართა გაწმენდა ყველა სექციებში.

— **აბრეშუმის პარკის გატანა საზღვარ-გარეთ.** ცეკავშირი უკვე შეუდგა პარკის საზღვარ-გარეთ გატანას ა.-კ. საგარეო კომისარიატის საშუალებით. პარკი გატანილ იქნება სულ 25.000 ფ., უკვე გაიგზავნა 5.000 ფ. აბრეშუმის პარკი.

— **მაიდანზე გაიხსნა** კომერციულ აგენტურის საექსპორტო და სატრანსპორტო კანტორა.

— **თამბაქოს ნაწარმოების საერთაშორისო გამოფენა.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო მოწვევის ბარათი ლონდონში თამბაქოს ნაწარმოების მე-7 საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ. მიწვევის ბარათში აღნიშნულია, რომ ინგლისის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ა.-კავკასიის თუთუნის განსაკუთრებით პაპიროსის მწეველ ქალებისაგან?

— **ავტომობილების მიღება.** ბათუმში გემ „კარიანტია“-თი უკვე მიიღეს იტალიაში შეძენილ ავტომობილების 1-ლი პარტია, რიცხვით 25 მაუბუქი ავტომობილი „ფიატის სისტემის“. მიღებული ავტომობილები გამოყენებული იქნება საქართველოში და სომხეთში გზატკეცილებზე მიმოსვლისათვის.

შემთხვევები

— **უცაბედი დაჭრა.** 12 სექტ. მე-11 კომისარიატის უნცროსმა მილიციონერმა რევოლვერის წმენდის დროს უეცრათ თავი დაიჭრა.

— **გაქცევა.** 12 სექტ. შეიპყრეს მე-7 კომისარიატიდან გაქცეული პატიმარი ბავაკონა მარტიროზოვა.

— **ქურდების შეპყრობა.** 12 სექტ. შეიპყრეს 3 უცნობი პირი, რომელთაც აღმოაჩნდა მატარებელიდან ნაპარავი ნივთები.

— **ახლად დაბადებულის მოკვლა.** 12 სექტ. შეიპყრეს ბებია ქალი მარიამ ბერიძე (იგივე შევჩენკო), რომელსაც უპოვნეს მოკლული ახლად დაბადებული პაციენტის დავითაშვილის ბავში.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი კოოპერატიული დუქანი

26 კომუნარის სახელობის სამექანიკო ქარხანასთან—მელითონეებში არსებობს მუშკოოპის დუქანი, საიდანაც ჩვენი მუშები სარგებლობენ სურსათ-სანოვაგით. 300-ღი მუშას აკმაყოფილებს ეს დუქანი, რომელიც პატარა ვიწრო შენობიდან ქარხკომის საშუალებით გადავიდა მოზრდილ შენობაში, საცა წინათ საწყობი გვქონდა. ამ ჟამად საქონელიც მოემატა და მოთხოვნილებაც საკმარისად გაიზარდა. მუშებს სანოვაგე მიაქეთ ნისიად—ჯამაგირის ანგარიშში და თვეში ორჯელ ხდება ანგარიშის გასწორება. დუქნის გამგე ზრდილობიანად და ამხანაგურად ეპყრობა მუშებს, უწევს ანგარიშს მუშების მოთხოვნილებებს და განცხადებებს.

თვიურად ყველა მუშების მიერ წაღებული სანოვაგის საფასური უდრის 4 ათასამდე მანეთს, რაც სჭარბობს მათ ხელფასს. კოოპერაციით ჩვენ ვებრძვით კერძო ვაჭრობას, რამაც საკმაო ნაყოფი გამოიღო.

უკვე ახლოვდება შემოდგომა და მუშებისათვის საჭიროა თბილი ტანისამოსი და ფართალი. იმედი გვაქვს, რომ მუშკოოპის გამგეობა გაგვიწევს სათანადო დახმარებას მელითონეებს და ზამთრისათვის თბილ ტანისამოსსაც მოგვაწვდის.

მუშკორი მელითონე.

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

ს. ს. ს. რ. მთავარ საავადმყოფოში მუშა-მოსამსახურეთა შტატი 170 კაცს აღემატება.

რესპუბლიკის არც ერთ დაწესებულებაში ასე უყურადღებოდ არ არიან მუშა-მოსამსახურეები დარჩენილი, როგორც აქ.

არ უნდა იყოს ისეთი დაწესებულება, სადაც ასეთ მცირე ჯამაგირს ღებულობდენ მუშა-მოსამსახურეები. განსაკუთრებით ჩვენ უნდა შევჩერდეთ მე-5 და მე-6 სატარიფო ხარისხის მოსამსახურეებზე.

პირველი იღებს თვეში 11 მან. და მეორე 13—მან.; ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში იქნებიან ოჯახის პატრონი—მოსამსახურეები.

არა ერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული გაზეთში ამის შესახებ, მაგრამ არავის მიუქცევია ყურადღება.

ვეკითხებით ადგილკომს—როდესაც მოსამსახურეები ასეთ მდგომარეობაში არიან, რა ზომებს ღებულობს იგი?!

არ არის საკმარისი მარტო ადგილკომობის სახელის ტარება, საზოგადოების დავალებასაც შესრულება უნდა.

წინედ მოსამსახურეებს უფასო ბინა და სინათლე ეძლეოდათ, ისიც კი მოუსპეს.

აუცილებლად საჭიროა ამ დარგის მოსამსახურეთ მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

მუშკორი ჭემანი.

ეს სწორეთ უსამართლობაა.

(პროფსაბჭოს და ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

ალმასკომში არსებობს საბჭოთა მოსამსახურეების ადგილკომი, რომელმაც ამ დღეებში შეკრა ადმინისტრაციასთან კოლექტიური ხელშეკრულება. თანახმად აღნიშნულ ხელშეკრულებისა დაბალ დარგის თანამშრომლებს ბუღალტერიის და კანცელიარიებისა, რომლებიც ისედაც ცოტას ღებულობენ და ცხოვრების დუხჭირ გაჭირვებას განიცდიდენ, ეხლა უარესი სიღატაკე თავზე დაატყდათ: შიკრიკი თუ ღებულობდა წინედ 33 მან., ეხლა უნდა მიიღოს 24 მან. ბუღალტერიის ტეხნიკურ მუშაკებს, რომლების ხელფასი უდრიდა 65 მან. გაუხადეს 50 მან. პერსონალურ ჯამაგირებს კი ემატება. ალმასკომის თავმჯდომარე გაცილებით უფრო ნაკლებს ღებულობს, ვიდრე რომელიმე სპეცი. მაგ.: ბასილია ღებულობს 250 მან. თვიურად.

ამას ადგილკომმა უნდა მიაქციოს ყურადღება. განსაკუთრებით ამხ. წულაძემ, რომელიც ძველი პროფესიონალური მუშაკია და სპეცების ჯამაგირების დაკლებით გააუმჯობესებს დაბალი მოსამსახურეების მდგომარეობას.

მუშკორი მემუხრუშვილი.

გააკეთეთ ტრამვაის წარწერები.

(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ).

ტრამვაის ზოგ ვაგონზე მოუშლიათ მარშრუტის მაჩვენებელი წარწერები და დაუტოვებიათ მარტო ნომრები. შესაძლოა თბილისის მკვიდრმა მოქალაქემ ზეპირად იცოდეს, რომელი ნომერი ტრამვაი სად მიდის, მაგრამ, რაღა ეშველება იმ ათი ათას ჩამოსულ მოქალაქეთ, რომელნიც ჩამოდიან თბილისში ყოველდღე რკინის და შარაგზის საშუალებით, ტყვილა აცეცებენ თვალებს და არ იციან, რომელი ვაგონი სად მიდის. გაუგებარია, რატომ არ უნდა იყოს წარწერები.

მუშკორი გოგი.

მოუარეთ ბავშვს!

(მილიციის უფროსის და ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

მე-12 უბანში უკვე რამოდენიმე კვირაა ღადის სრულებით ტიტველი ბავშვი ჭკუიდან შეშლილი. ამ ბავშვის პატრონი არავინ არის. მთელი დღეობით ამ უბნის ქუჩის ბავშვები არ აძლევენ მოსვენებას ამ ჭკუიდან შეშლილ ბავშვს, სცემენ მას, სდევნიან ერთი ქუჩიდან—მეორემდის და აწვალებენ მას. ასე ამგვარად იტანჯება ბავშვი უყურადღებოდ—ყოველ დღე დილიდან საღამომდის და საღამოს კი ხან კომისარიატში რჩება ღამის გასათევად და ხან კი შიშველ ქუჩაში ან მინდორში. მილიციას ევალება ასეთების თვალყურის დევნა.

ალ. გურასაშვილი.

ჩვენი პასუხი

(ამხ. კიტიაშვილს).

„კომუნისტ“-ის 205 ნომერში, მოთავსებულია წერილი სათაურით „ეს უკანონობა უნდა გამოსწორდეს“ ამის გამო ყველას გასაგონად ვაცხადებთ შემდეგს: ტრამვაის ელექტრონის სადგურზე მუშაობს 3 ორთქლმძრავი და ერთი შიდაწვის მძრავი „დიზელი“. ორთქლმძრავებზედ მუშაობა გაცილებით უფრო ადვილი-იოლილია, „დიზელზე“ კი უფრო მძიმე და საპასუხისმგებლო. ორთქლმძრავის მემანქანეები იღებენ ხელფასს 42 მანეთს „დიზელი“-ის მემანქანეები კი 49 მან. თვეში. ამის გამო ორჯერ იყო განხილული შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში მათი განცხადება, ორივეჯერ ვერ ჩააბარეს გამოცდა და ამის გამო დარჩენ ორთქლმძრავის მემანქანეებად. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიამ ახლა მესამედ განიხილა მათი განცხადება და დაადგინა კომისიის თაოდასწრებით გამოცდილ იქნენ და თუ ჩააბარეს გამოცდა „დიზელზე“, მიეცეთ მათაც ხელფასი იმდენი, რამდენსაც იღებენ დანარჩენი „დიზელზე“ მომუშავე მემანქანეები.

რაც შეეხება იმას, რომ მემანქანეები მანქანებს აფუჭებენ, ამტვრევენ, რადგანაც არ იციან მანქანებზე მუშაობა, მე დავნიშნე კომისია ამის შესამოწმებლად, სადაც შედიან ტრამვაის ორი ინჟინერი, სახელოსნოს გამგე, კომუნალურ მეურნ. მუშათა კავშირის გამგეობის მდივანი, ადგილკომის და კომუჯრედის წარმომადგენლები.

თუ ამ კომისიამ აღმოაჩინა, რომ რომელიმე მემანქანე თავის ადგილზე არ არის, ის მოხსნილი იქნება სამსახურიდან, თუ გინდ ისინი დიდი ხნის ნამსახურებიც იყვნენ.

ტრამვაის დირექტორი ფარნიევი

რკინისგზელთა ქრონიკა

ადგილკომის არჩევა. თბ. საუბ. პროფკავშირმა დაადგინა სალიანდაგო სამსახურის სატყეო განყოფილებაში მოხდეს ადგილკომის ხელახალი არჩევა.

— **კამპანიების ჩატარება.** თბ. [illegible] სამსახურის სხვადასხვა განყოფილებაში ჩაატარებს კამპანიებს ურთიერთ დამხმარე სალაროს დაარსებისათვის.

— **28 მუშა გაიგზავნეს მუშფაკებში.** თბ. დეპოს ადგილკომის დელეგატურმა კრებამ მუშფაკებში გადაგზავნა 26 მუშა.

— **ურთიერთ-დამხმარე სალარო.** თბ. საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მატერიალურ საწყობის მუშებსათვის დააარსოს ურთიერთ დამხმარე სალარო.

— **საერთო კრებები.** რკ. გზ. პროფგანათლების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები გაიმართება თვეში 2-ჯერ.

სურსათის გაცემა. თბ. საუბ. პროფკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა, რათა მთ. სახელოსნოებთან არსებულ „ზაკტპო“-ს სავაჭრო კარავში სურსათები მუშებზე იყიდებოდეს დილის 6 საათიდან და ნაშუადღის 2 საათიდან.

მუშაობა ქალთა შორის. რკ. გზ. პროფგანათლების მუშათა ადგილკომი იმუშავებს გეგმას რკ. გზ. პროფგანათლების კურსების მსმენელ ქალთა შორის კულტურულ მუშაობის საწარმოებლად.

— **მეცადინეობის განახლება.** სალიანდაგო სამსახურის სატყეო განყოფილებასთან არსებულ ქართულ ენების შემსწავლელ კურსებზე უკვე განახლდა მეცადინეობა.

— **კლუბის წევრების რაოდენობა** სალ. სამსახ. სატყეო განყოფილების ადგილკომთან არსებულ კლუბში 79 წევრი ითვლება.

მუშათა წიგნთ-საცავი. სალ. სამსახურის სატყეო განყოფილების მუშათა წიგნთსაცავში 550 წიგნი, აქედან ნახევარზე მეტი ქართული არის.

— **წითელი და შავი დაფა.** თბ. საქ. სად. მუშათა ადგილკომმა დაადგინა შემოიღოს წითელი და შავი დაფა ადგილკომთან კავშირის ულირსი და არაკეთილსინდისიერ წევრთა აღსანიშნავად.

— **ურთიერთ დამხმარე სალარო** სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა ამ დღეებში დაარსა ურთიერთ დამხმარე სალარო. მუშები, კავშირის წევრები სალაროში ერთხმად ეწერებიან.

— **თვეში ორჯერ.** თბ. საუბ. სალარომ დაადგინა ხანგრძლივად დაავადმყოფებულ რკინისგზელებს მიეცეთ დახმარება თვეში 2-ჯერ.

— **დახმარება შრომის ინვალიდებს.** თბ. საუბ. სალარო რკინის გზ. შრომის ინვალიდებს პენსიას ურიგებს ყოველი თვის 15 რიცხვიდან.

ინფ. ა—ძე.

პროვინციაში

ხრეითი (შორაპნის მაზრა)

ხრეითის თემში რვა სექტემბერს გლეხთა საზოგადო მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება ამხ. პ. მიხელიძისა მენშევიკურ ავანტიურის შესახებ დაადგინა:

ვიგონებთ რა ზიზღით მენშევიკების ბატონობის დროს და იმ სისხლის გუბეებს, რომელშიაც ტივტივებდა მშრომელი ხალხი, ვიგონებთ რა დამღუპველ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდენ მენშევიკები, გათახსირებული თავად-აზნაურობის, ოფიცრების, სამღვდელოების და ჩარჩ-სპეკულანტებთან ერთად ფართო მასიური კრება ერთხმად ზიზღს უცხადებს მათ ყაჩაღურ და ავანტიურისტულ გამოსვლებს და მოითხოვს მათ სასტიკად დასჯას.

ფიცს ვსდებთ, რომ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე საბჭოთა ხელისუფლების დასაცავათ და ულმობელ ლახვარს ჩავსცემთ გულში მას, ვინც მშრომელი ხალხის მყუდრო ცხოვრების დარღვევას მოინდომებს.

ძირს ნაძირალები, ბანდიტ—მენშევიკები, თავად-აზნაურობა და მღვდლები!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში და მთელს ქვეყანაზე!

დამსწრე.

კულტ-მუშაობა ს. ტყვიავში (გორის მაზრა)

სოფ. ტყვიავი განთქმულია თავის მეაილეობით. თუმცა ტყვიავი დიდი სოფელია, მაგრამ დღემდე აქ არ არსებობდა არც კლუბი და არც სამკითხველო. მიუხედავათ იმისა, რომ აქ მრავალი დაწესებულებანია, ვერც ერთი ვერ ღებულობდა ამ საქმის ინიციატივას. ამას წინათ შეიკრიბა საინიციატივო ჯგუფი. ამაში მთავარი როლი ეკუთვნის ა. ლ. კ. კ. ტყვიავის რაიკომს. 16 აგვისტოს მოხდა საზეიმო გახსნა ლადო კეცხოველის სახელობის კლუბის. ყველა მახლობელ სოფლებიდან გლეხობა ძალიან ბლომათ დაესწრო. დადგმულ იქნა მეტათ შინაარსიანი პიესა „ბატონი და ყმა“ და „აღთქმულ ქვეყნისკენ“. მასა ძალიან კმაყოფილი დარჩა. აქ შემდგარი არის ახალგაზრდა დრამ-წრე რაფო კორინთელის მეთაურობით. ეს უკანასკნელი არის რეჟისორი და კლუბის გამგე. კლუბის გახსნას მოყვა სამკითხველოს გახსნაც, რომელშიაც გლეხობა ყოველ დღე იყრის თავს და ეცნობა ახალ ამბებს. კლუბთან არსებობს სხვა წრეებიც. კულტ-კომისიამ თავის სხდომაზე დაადგინა ყველა დიდ სოფლებში გახსნილ იქნას ქოხ-სამკითხველოები.

ვ. გიგილაშვილი.

ნახუნოვოს თემი (სენაკის მაზრა)

ხსენებული თემი მთაგორიან ადგილ-მდებარეობისა და ნიადაგის სიმწირის გამო წარმოადგენს ერთ-ერთ ჩამორჩენილ თემს. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის დიდი ლტოლვა იყო და არის სწავლა-განათლებისაკენ. სამწუხაროთ ნახუნოვოს თემი მოწყვეტილი იყო კულტურულ ცენტრებს. ყოველივე ამის გამო ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს ადგილობრივი მცხოვრებლები სთხოვდენ მთავრობას უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის გახსნას, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს ვერც მაშინ და ვერც მენშევიკების ბატონობის დროს. მხოლოდ მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გასაბჭოების დღიდან შეუსრულა მათ საწადელი და გაუხსნა მთლიანი 8 წლიანი შრომის სკოლა, რომელიც უბინობისა გამო განიცდის დიდ გაჭირვებას. ბინის უქონლობის გამო სკოლას მოელოდა დახურვა. ამ დროს სკოლის ბინის საკითხის მოგვარება იკისრა ადგილობრივ თემის მცხოვრებმა პავლე გიგოს ძე სურმავამ, რომლის გამუდმებული მუშაობისა და დაუღალავი ენერგიისა გამო ნახუნოვოს თემს დღეს აქვს საუკეთესო სასკოლო ბინა, ცამეტი თვალისაგან შემდგარი, მაზრის განათლების განყოფილების მიერ მოცემულ გეგმის თანახმად აგებული.

მართალია შენობა მთლად არ არის მოთავებული, მაგრამ სამი მეოთხედი საქმისა დაძლეულია. ამ ხანად ამ შენობაში მოთავსდება შვიდწლედი შრ. სკოლა, ხოლო მომავლისათვის ცხრა წლედი შრ. სკოლა. დაუფასებელია ამხ. სურმავას მუშაობა. დე სხვებმაც წაბაძონ მას.

დ. თ—შვილი.

ხელთუბანი (გორის მაზრა)

სექტემბერის 8-ს ნაშუადღევის 5 საათზე შესდგა საზოგადო მიტინგი სოფ. ხელთუბანში, რომელსაც დაესწრო 5 სოფლის გლეხობა: ს. ხელთუბნის, თორტიზის, რეხის, ახალსოფლის და ზედდულეთის, რიცხვით 1000 კაცი. კრებას ხსნის გორის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ტეროგანოვი. მიმდინარე მომენტზე და მენშევიკების ავანტიურაზე მოხსენება გააკეთა გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ტ. ბუხრიკიძემ.

მიტინგის მიერ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ, რა მოხსენება ამხ. ბუხრიკიძისა მიმდინარე მომენტზე და მენშევიკების ავანტიურაზე, ჩვენ, ხუთი სოფლის მცხოვრებლები დიდი ხანია დარწმუნებულნი ვართ, რომ მენშევიკები არ არიან მუშებისა და გლეხების დამცველები, რაიც დაგვანახვა მათმა მოქმედებამ მათი საქართველოში ბატონობის დროს. მთელი მათი მუშაობა მიმართული იყო თავად-აზნაურობის და ბურჟუა-მემამულეების დაცვისკენ. მათმა დანთხეულმა ხმამა დღესაც თავი იჩინა. ჩვენ ფიცსა ვდებთ, რომ დავიცვათ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

მოვითხოვთ, რომ სასტიკათ იქნან დასჯილნი ბურჟუა-კაპიტალისტების ლაქია-მენშევიკები და მათი ამყოლნი. სამარადისო ზიზღი მათ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას

დამსწრე

გლეხობის განწყობილება გორის მაზრაში

სოფ. ცხირის (გორის მაზრა) გლეხობამ თავის ყრილობაზე 9 ენკენისთვეს დაადგინა გააძევოს სოფლიდან მთლიანათ თავად-აზნაურობა (ციციანები და სხვები). ეს დადგენილება მათ ნაწილობრივ უკვე მოიყვანეს სისრულეში. ასეთი განწყობილება მასიურ ხასიათს იღებს იმის შემდეგ რაც გლეხობამ გაიგო, რომ უკანასკნელი ავანტიურის მონაწილენი თავად-აზნაურები იყვნენ. მაზრის ხელისუფლება ჩაერია საქმეში და გლეხობის დაშოშმინებით სცდილობს მოსალოდნელი ექსცესების თავიდან აცილებას. გლეხობა ერთხმათ აცხადებს, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ გაძევებულ თავად-აზნაურობის უკან დაბრუნებას. გლეხობამ განაცხადა „თუ თქვენ დააბრუნებთ თავადებს, ჩვენ არ ვიცით მათ რას უზამთ და პასუხისმგებლობას თავიდან ვიხსნითო“.

სამაზრო ხელისუფლების მიერ გაგზავნილია ყველგან პარტიული ამხანაგები წინადადებით, რათა დაამშვიდონ აღელვებული გლეხები და არ დაუშვან მაზრაში ექსცესები. ამ მხრივ სამაზრო ხელისუფლება დიდ ენერგიას იჩენს.

გ. ქურდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვინციის ქრონიკა

— **ბრძოლა ვენერიულ ავადმყოფობასთან.** ახალქალაქის მაზრაში ექიმების სპეციალური კომისია შეუდგა მუშა-მოსამსახურეთა გასინჯვას ვენერიულ ავადმყოფობასთან საბრძოლველად. გასინჯვის გარეშე დარჩენილი ავადმყოფი პასუხისგებაში იქნება მიცემული.

— **გზები თელავის მაზრაში.** ყველა სასოფლო შარა-გზები თელავის მაზრაში შეკეთებულია ადგილობრივი გლეხების მიერ.

— **ქოხ-სამკითხველოები.** ახალქალაქის მაზრაში ქოხ-სამკითხველოსათვის აღმასკომმა გადასწყვიტა თბილისში შეიძინოს წიგნები.

— **კოოპერაციის ქსელის გაფართოება.** ახალქალაქის მთ. კოოპერატივმა ადგილობრივ კოოპერაციის განყოფილებისათვის დაიწყო შენობის აგება საკუთარი ხარჯით.

— **მიწის რეფორმა.** თელავის მაზრაში მიწის რეფორმის და მოწყობის ჩასატარებლად გლეხები მოითხოვენ თავის ხარჯზე მიწის მზომლებს.

— **ტელეფონი სოფლად.** თელავის მაზრაში აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, მაზრის ტელეფონის ქსელის მის განკარგულებაში გადასაცემად.

— **დახმარება გლეხკომს.** ბანდიტების მიერ გაძარცულ სოფ. კავთისხევის გლეხკომის მაღაზიის აღსადგენად, გორის სამაზრო გლეხკომმა გაიღო თავის მთავარ მაღაზიიდან 2.000 მ. ფართალი და 55 წყვილი ქალამანი.

— **უფასო წამლობა.** 1-ლ იანვრიდან 20 აგვისტომდე ქუთაისის მაზრის ღარიბებს მცხოვრებთ აფთიაქიდან უფასოდ მიეცათ წამალი 22.320 მანეთის.

— **წიგნის მაღაზია.** სახ. გამომცემლობამ ქუთ. მაზრის აღმასკომთან ერთად გადასწყვიტა ქუთაისში გახსნას წიგნის მაღაზია.

— **საავადმყოფოს შეკეთება.** ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა 1-ლ საბჭოთა საავადმყოფოს შესაკეთებლად გადასდო 6066 მან.

— **თეატრი სოფლად.** სოფ. ვანში (ქუთ. მაზრა) შეუდგენ ადგილობრივ თეატრის აგებას.

— **სურამის სულით ავადმყოფთა ახალშენი.** სურამის სულით ავადმყოფთა ახალშენში ამ ჟამად მოწყობილია 60 საწოლი, ახალშენში მოეწყო შრომის კომუნა, სადაც სასოფლო-მეურნეობას ეწევიან თვით ავადმყოფები.

მადლობა

ვარდის უბნის სოფლის სამკითხველო სტენდის გასაძლიერებლად შემოსწირეს გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშის“ და „ზარია ვოსტოკას“ გამოსაწერად ფული შემდეგ პირებმა:

გოზალაშვილი გიორგი, ხელაშვილი ვასო, ძამიაშვილი გიო, კოსენენკო პეტრო, კოსენენკო იაკობ, კოსენენკო ივანე, ინაშვილი გიორგი, ტუხაშვილი ლადო, ხოხონიშვილი გიგო, სარმენტოვი სერგო, შიხაშვილი გიორგი, ბუწაშვილი გაბრო, სარჯველაძე ალექსანდრე, ქყოიძე იოსებ, მეთამბაქოეთა ამხ. „სიმართლე,“ ბარნაიშვილი არონ, კაკიაშვილი კოლა, ჩხიძე ვანო, მჭედლიძე ანტონ და ჯაბაშვილი სიმონ

რისთვისაც ზემოთ მოხსენებულ პირთ ვუცხადებთ უღრმეს მადლობას.

დავალებით:
ვლადიმერ ტუხაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—1923 წ. მარტის 1-ს თარიღით—საპაპიროსო სახელოსნოთა შესახებ—გამოცემული დადგენილების (რუს სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა კრებ. 1923 წ. № 17, მუხ. 218) შესაცვლელად სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამ პაპიროსისათვის, რასაც საპაპიროსო სახელოსნო გამოუშვებს, აქციზი გადახდილ უნდა იქნეს თამბაქოს ფაბრიკებისათვის დაწესებული აქციზის განაკვეთით: ყოველ შემთხვევაში, ეს აქციზი საშუალოდ არ უნდა იყოს თამბაქოს ფაბრიკისათვის დაწესებული საშუალო-რიგულ საქციზო განაკვეთზე ნაკლები 1.000 ცალი პაპიროსისათვის.

2. საპაპიროსო სახელოსნოს მიერ გადახდილი აქციზი იმ თამბაქოსა და გილზისათვის, რაც მან მიიღო პაპიროსის დასამზადებლად, ჩაითვლება იმ თანხაში, რაც მან უნდა გადაიხადოს აქციზად დამზადებული პაპიროსისათვის 1-ლ მუხ. აღნიშნული ანგარიშით.

3. ყოველი საპაპიროსო სახელოსნო მოვალეა ნახევარ წლის განმავლობაში შეიმუშაოს არა ნაკლებ ხუთასათასი პაპიროსისა. ის საპაპიროსო სახელოსნო, რომელიც ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, დაიხურება და შეიძლება გაიღოს შემდეგ ნახევარ-წელიწადში, უკეთუ სრულიად შეიტანს აქციზის იმ თანხას, რაც მას უნდა გადაეხადნა გასული ნახევარ წლის განმავლობაში დაუმზადებელი პაპიროსისათვის.

4. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალება, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, დაადგინოს წესები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

5. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღების ვადას დაადგენს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი და გამოაქვეყნებს „სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის იზვესტიაში“.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ა. რიკოვი.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი. 1924 წ. ივლისი 4.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა 1924 წ. სექტემბრის 8.

საპაპიროსო სახელოსნოებში დამზადებული პაპიროსის აქციზით დაბეგვრის ცვლილებათა შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ივლისის 4-ს დადგენილება (სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმ. კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის „იზვესტია“ 1924 წ. ივლისის 4-ს თარიღის 157-№-რი) საპაპიროსო სახელოსნოებში დამზადებული პაპიროსის აქციზით დაბეგვრის ცვლილებათა შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ამბარცუმიანი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ყველა სარაიონო კომიტეტებს და წარმომადგენლებს ცენტრალურ გამგეობაში. საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ტფ. კომიტეტი იუწყება, რომ 17 ენკენისთვეს, ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე საბჭოთა მუშაკების საზაფხულო კლუბის შენობაში შესდგება **საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და შეფთა კომისიებში მყოფ კომკავშირის წარმომადგენელთა საქალაქო კრება.**

დღის წესრიგი: 1. სატარიფო პოლიტიკა. 2. საწარმოო თათბირებში ახალგ. კომკავშირის მონაწილეობის შესახებ.

სავალდებულოა ქარხკომებსა და საშეფო კომისიებში მყოფ ყველა ამხანაგ-წარმომადგენლების დასწრება დაუგვიანებლად.

ა. ლ. კომკავშირის ტფ. კ—ის მდივანი მეტონიძე.
ეკონომ. გ—ის გამგე აკოფოვი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 16 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის ყველა **საშეფო კომისიების თათბირი.**

დღის წესრიგშია „საკითხი შემდეგი მუშაობის გეგმის შესახებ“.

სავალდებულოა ყველა საშეფო კომისიების დასწრება.

პასუხ. მდივანი: გ. სტურუა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრ. ლენინელთა კომკავშირის უჯრედის ბიურო, ლენინელთა ახალგაზრ. კომკავშირის მე-2 რაიკომის დავალებით აცხადებს, რომ პირველი მორიგე კრება უჯრედისა შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-ლ აუდიტორიაში ხუთშაბათს ა. წ. 18 სექტემბერს დღის 2 საათზე, რომელზედაც ვალდებულნი არიან დაესწრონ უჯრედის ყველა წევრები და კანდიდატები დაუგვიანებლად.

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრ. ლენინელთა კომკავშირის უჯრედის ბიურო.

ხუთშაბათს, 18 სექტემბერს საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში **რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი, საქ. კომ. პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია და ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები იწვევენ ქ. ტფილისის სავაჭრო დაწესებულებებში** (კოოპერაციაში, ტრესტებში, სახელმწიფო ვაჭრობის და სხვა სავაჭრო ორგანოებში) **მომუშავე პარტიულ ამხანაგების საზოგადო კრებას.**

დღის წესრიგი: 1. შესავალი სიტყვა სავაჭრო ორგანოებში მომუშავე კომუნისტების ამოცანების შესახებ—ამხ. ნაზარეტიანი. 2. საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა და საგარეო ვაჭრობის ორგანოებში მომუშავე კომუნისტების ამოცანები—ამხ. ივანიანი. 3. სახელმწიფო და შინა-ვაჭრობის მდგომარეობა და კომუნისტების მუშაობა და მათი ამოცანები სახელმწ. და შინა-ვაჭრობის ორგანოებში—ამხ. მგალობლიშვილი. 4. ჩვენი კოოპერაციის მდგომარეობა და კოოპერაციაში მომუშავე კომუნისტების ამოცანები—ამხ. ბალტინი.

მოხსენების შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავე ყველა პარტიულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

რ. კ. პ. ამ.-კავ. საოლქო კომიტეტისა და ს. კ. პ. ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმები.

ა.-კ. და საქართველოს მუშ. და გლეხ. ინსპ. სახ. კომისარიატები.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი და გემო-კვების მუშაკთა კავშირი იტყობინება, რომ დღეს, სამშაბათს, 16 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში მოწვეულია **მეთამბაქოების საწარმოვო კონფერენცია.**

დღის წესრიგშია: 1) ამხ. ტროიცკის მოხსენება წარმოების რაციონალიზაციის შესახებ. 2) ამხ. სემკოვის მოხსენება სამუშაო ხელფასის შესახებ. 3) ამხ. პევცოვის მოხსენება თამბაქოს ტრესტის შესახებ.

სავალდებულოა ყველა დელეგატების, დირექტორების, დირექტორების თანაშემწეების და განყოფილებათა გამგეების დასწრება.

მდივანი: მაშკევიჩი.

პროფესიული

დღეს, 16 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საბჭოთა მუშაკების კავშირის კლუბში (კირკის ქ. № 31) შესდგება ილ. ვარდინის—მგელაძის მოხსენება შემდეგ თემაზე: **თანამედროვე ლიტერატურა და იდეოლოგიური ფრონტი.**

კრებაზე შესვლა პროფკავშირთა წევრებისათვის თავისუფალია.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ყველა სარაიონო ბიუროების და მუშკორების საყურადღებოთ. დღეს, სამშაბათს, 16 ენკენისთვეს საღამოს 6 ნახ. საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში (შრომის სასახლე) შესდგება ქ. ტფილისის მუშკორთა საქალაქო ბიუროს სხდომა მუშკორთა ყველა სარაიონო ბიუროების, სარაიონო კომიტეტების საგიტ-პროპ. განყოფილებათა გამგეების და ტ. კ. საგიტ.-პროპ. გ—ის მონაწილეობით.

დღის წესრიგი: 1) საქალაქო და სარაიონო ბიუროების მოხსენებები. 2) მუშაობის გეგმა. 3) სოფლის კორესპონდენტის მალინოვსკის შესახებ. 4) სხვადასხვა.

სასურველია ყველა მუშკორების დასწრება.

მუშკორთა საქალაქო ბიურო.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი შვილები აგნესია, ლიდა, ვლადიმერი და ანდრო, სიძე ივანე ბასილია, აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 13 ამა ენკენისთვეს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა

მარგალიტა გრიგოლის ასული გრიგოლია

დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 16 ამა თვეს, საღამოს 5 საათზე. ცხედარი გამოსვენებული იქნება სანაპირო ქუჩიდან, № 7, ვერის სასაფლაოზე. 2021. 1—1.

მართა იოაკიმის ასული, ლეონ მელქისედეკის-ძე და მარიამ ნიკოლოზის ასული მელიქსეთ-ბეგები აუწყებენ, რომ 13 სექტემბერს ხანგრძლივი უძლურების შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორეს მამა და მესამეს მამამთილი

მელქისედეკ ნიკიტას-ძე მელიქსეთ-ბეგი

გამოსვენება დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე ბინიდან, ჩუღურეთი, 1 გონჩარნაია ქუჩა, № 52, ხოჯაანთ-სავანეს (ხოჯივანქის) სასაფლაოზე. 2018. 1—1.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება № 28

13 სექტემბერი 1924 წ.

ადგილობრივ ფინანსების დებულების მე-98-ე მუხლის თანახმად, აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს:

1) შემოღებულ იქნას მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან, აღმასკომის სასარგებლოდ, გადასახადი ყოველგვარ გარიგებებზე, რომლებიც სრულდება, ან რეგისტრაციაში ტარდება თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟაზე, როგორც კერძო პირების და საზოგადოების, ისე მთავრობის ყველა ორგანიზაციების და დაწესებულებების მიერ.

2) აღნიშნულ გარიგებებზე დაწესდეს შემდეგი საგადასახადო განაკვეთები: საფონდო, ყოველგვარ ხორბლეულის, ფქვილის, ლობიოს, ბოსტნეულის, საჭმელ ზეთის, შაქრის, შაქრის ფხვნილის, ბრინჯის, მაკარონ-ვერმიშელის, მარილის, ბამბეულ მანუფაქტურის და ნავთის გარიგებებზე-გარიგების ჯამის ერთი მეოცედი პროც.

ხოლო ყველა სხვა დანარჩენ საქონლის გარიგებებზე—გარიგების ჯამის ერთი მეათედი პროც.

შენიშვნა. გადასახადისაგან სავსებით თავისუფლდება გარიგებები ხორცზე.

3) ყველა პირი და დაწესებულება, რომელიც თბილისის ბირჟაზე შეასრულებს, ან რეგისტრაციაში გაატარებს საფონდო თუ საქონლის გარიგებას,—ვალდებულია საკურტაჟო და სარეგისტრაციო გამოსაღებებთან ერთად გადაიხადოს თბილისის აღმასკომის სასარგებლოდ სათანადო თანხა, ამ დადგენილების მე-2-ე მუხლის გათვალისწინებულ განაკვეთების მიხედვით.

აღმასკომის თავმჯდომარე—სუხიშვილი.
მდივანი—მესხი.

1—1 ნ. 1522

მომავალ სასწავლო წლიდან

განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმმართველობას განზრახული აქვს თელავის, თბილისის, გორის, დუშეთის, შორაპნის, ქუთაისის, რაჭის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში

გახსნას სოფლის ახალგაზრდობის სკოლები

რომელნიც თვის საერთო განათლების საგნების პროგრამით შეეფარდებიან შრომის სკოლის მე-5, მე-6 და მე-7 ჯგუფის პროგრამებს, მხოლოდ ბუნებისმეტყველება მიიღებს პრაქტიკულ-აგრონომიულ განხრას.

ამ სკოლებისათვის საჭიროა უმაღლესი ან საშუალო აგრონომიულ ცოდნის მქონე **თხუთმეტი მასწავლებელი**. რომელთაც პრაქტიკულად უნდა შესწავლული ჰქონდეთ შემდეგი დარგები: მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა და სხვა.

ამ დარგში მუშაობის მსურველთ ვთხოვთ მიმართონ: განათლების კომისარიატში ინსტრუქტორებს გ. ჭუმბურიძეს ან დ. გურგენიძეს.

სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის
გამგე **მარიამ ორახელაშვილი.**

2—2 ნ. 1514.

ახალი კლუბის ბუფეტი

იცემა იჯარით 1 ოქტომბრიდან

მსურველებს შეუძლიანთ შემოიტანონ განცხადება კლუბის კანტორაში 20 ენკენისთვემდე. აქვე მიიღება ყოველივე ცნობები. ნ. 1523. 2—1.

წყალი მოქალაქეთ

ავჭალიდან მოწოდებული წყლის რაოდენობა იმდენია, რომ აჭარბებს მთელი ქალაქის მოთხოვნილებას, ხოლო არც ერთი აბონენტი წყლის სიმცირის მიზეზით უწყლოთ არ უნდა დარჩეს.

კომუნალური წყალსადენი სთხოვს ყველა აბონენტს, გამოურკვეველ მიზეზით, მათთან წყლის დენის შეჩერების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ მას საჭირო ზომების მისაღებად—წყალსადენს ან სახელოსნოს ტელ. № 13—29.

წყალსადენის დირექტორი ინჟენერი **დიასამიძე.**

ნ. 1520. 3—1. კანც. გამგე **ქურთიშვილი.**

თბ. აღმასკომის განათლების განყოფილება

ამით აცხადებს პროფკავშირთა წევრების საყურადღებოთ, რომ სკოლამდელი ბავშვების (3—5 წლ.) საბავშვო ბაღებში მიღების ვადა გაგრძელებულია 18 სექტემბრამდე.

ამ დღისით საღამოს 6 საათზე მიმღები კომისია საბავშვო ბაღის გამგისა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების წარმომადგენლის შემადგენლობით გადასინჯავს ყველა თხოვნას და საბუთს და შემდეგ მიიღებს კლასის ნიშნით, როგორც განათლების განყოფილების ცირკულიარითაა გათვალისწინებული.

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილება.

ნ. 1519 2—1

განცხადება

თანახმად საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა

1924 წ. 13 აგვისტოს თარიღით

(ოქმი № 83, მუხლი 35) რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკს მიეკუთვნა ახალი სახელწოდება:

„საბჭოთა კავშირის სავაჭრო სამრეწველო ბანკი“

ამ დადგენილების თანახმად ცხადდება ყველას საყურადღებოდ, რომ ამიერიდან აღნიშნულ ბანკის კანტორას თბილისში **ეწოდება:**

„საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის სრულიად საქართველოს კანტორა“

საბჭ. კავშირის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის გამგეობა.

2—2 ნ. № 1490.

თბილისის ქალაქის ლომბარდი

აცხადებს, რომ კვირას, 21 სექტემბერს, დილის 11 საათზე, **ლომბარდის საოპერაციო დარბაზში** (ლორის-მელიქოვის ქ. № 8)

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასული გირაოებისა. (გასასყიდ გირაოების ნუმრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში).

გასასყიდათ დანიშნულია შემდეგი ნივთები: ძვირფასი მადნეულობა და ქვები, ხალიჩები, ბეწვეულობა, ტანსაცმელები, საკერავი მანქანები და სხვა. დამგირავებლებს შეუძლიათ საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე გამოისყიდონ ან გადააგირაონ გასასყიდათ დანიშნული ნივთები.

ნ. 1497 1—1

დროებით შეჩერებული **სახლის წყლის წიგნების-ბლანკების გასინჯვა და შემოწმება** კომუნალურ წყალსადენის მიერ

განახლებულია,

რაიც გაგრძელდება **20 ამა სექტემბრამდე.**

რომელი სახლიც აღნიშნულ ვადაზე არ წარმოადგენს სახლის წყლის წიგნებს და ბლანკებს შესამოწმებლად—**ეკარგებათ შეღავათის უფლება.**

გასინჯვა წიგნებისა სწარმოებს ყოველდღე გარდა დასასვენებელ-უქმე დღეებისა ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 8 საათამდე აღმასკომის შენობაში ოთახი, № 61. ნ. 1500. 2 2.

საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს

წიგნის მაღაზია

(რუსთაველის პროსპ. № 22).

წიგნის მაღაზია აწვდის საქართველოს ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს და კერძო დაწესებულებებს, როგორც წიგნებს, აგრეთვე საკანცელარიო და სასწავლო ნივთებს.

მომავალ სეზონისათვის დამზადებული აქვს დიდძალი საქონელი.

ნ. 1504 2—2

ჭიათურის შავი-ქვის რაიონში მისავალ გზების გამყვანი კომიტეტი

იუწყება, რომ კომიტეტი აცხადებს

შეჯიბრებას

ჰალისა და წირკვალის ხეობებში მისავალ გზებისათვის მიწის ლიანდაგის გაყვანისა და ხელოვნურ შენობათა აგების იჯარით გაცემაზე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებაში, ევალებათ შემოიტანონ თავისი განცხადებები დაბეჭდილ კონვერტებით შემდეგი წარწერით: **„ჭიათურის შავი-ქვის რაიონში მისავალ გზების ლიანდაგისა და ხელოვნურ სამუშაოს კონკურენციისათვის“** და ჩააბარონ ეს კონვერტები ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობაში (ვოკზალის ქ., 1), სპეციალურათ ამისთვის გამოკიდებულ ყუთში. შეჯიბრება გაიმართება ამა წლის 29 სექტემბრის, დილის 12 საათზე, რა დროისთვისაც პაკეტები უნდა იქნეს ყუთში.

სამუშაოს დაახლოებითი რაოდენობა შემდეგია:

1) მიწის სათხრელი სამუშაო ლიანდაგისათვის ნიადაგის განურჩევლათ გარდა კლდისა—10,000 კუბ. საჟ. 2) კლდის სამუშაო—5,000 კუბ. საჟ. 3) ხელოვნური მშენებლობა (сухая бутовая кладка)—700 კუბ. საჟ. 4) ხელოვნურ შენობათა აგება (бутовая кладка) ცემენტის საფუძველზე—1,700 კუბ. საჟ.

განცხადებას უნდა დაერთოს ქვითარი გზათა სამმართველოს სალაროში გირაოს სახით ზემოაღნიშნულ სამუშაოს წინადადებულ ღირებულების 5 პროც. შეტანის შესახებ. გირაოს წინასწარ შეტანისაგან თავისუფალი არიან სახელმწიფო ორგანოები და რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები.

სამუშაოს შესრულების ვადა—რვა თვე დღიდან სამუშაოზე დადგომისათვის წინადადების მიცემისა. ყოველგვარი სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს მოიჯარადრის მასალის, ინსტრუმენტებისა და მოწყობილების საშუალებით. მუშაობისათვის საჭირო ცემენტი და ასაფეთქებელი მასალა გაიცემა კომიტეტის მიერ დასამზადებელ ფასებში მოიჯარადრის ანგარიშზე. განცხადებების შემომტან პირთ ევალებათ წინასწარ გაიცნონ ის ტეხნიკური და ზოგადი პირობები, რომლებშიაც უნდა სწარმოებდეს სარკინისგზო მუშაობა და მასალის დამზადება და აგრეთვე დაათვალიერონ სანიმუშო ხელშეკრულება, რომლის ნახვა შეიძლება ამ.-კავკ. რკ. გზათა გამგეობის ტეხნიკურ განყოფილებაში (ვოკზალის ქ., № 1), სამსახურის დღეებში დილის 9 საათიდან 11 საათამდე. განმცხადებლებმა უნდა გაიცნონ აგრეთვე ადგილობრივათ სამუშაოს ხასიათი, ნიადაგის თვისება და სხვა.

ყველა დანარჩენი პირობები აღნიშნულია მუშაობისა და დამზადების ზემოხსენებულ „ზოგად პირობებში“.

ნ. 1493. 3—3. კომიტ. თავმჯდ. ინჟენერი **გ. შახ-ბუდაგოვი.**

კურორტთა მთავარი სამმართველოს სატყეო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 20 სექტემბერს დილის 12 საათზე ქ. ბორჯომში ტყის გამგის სამმართველოში დანიშნულია

შეჯიბრება

ბაკურიანის სატყეოში კვარტალ №№ 132 და 133-ში ხანძარისაგან და სოკოსაგან დაზიანებულ ტყის მოჭრასა და რკინის გზის ლიანდაგზე გამოტანაზე და ამავე ადგილების ტყის გამგის ჩვენებით გაწმენდის მუშაობის იჯარით გაცემაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ საჭიროა ზემოთ აღნიშნულ ვადამდე წარდგენილ იქნას წერილობითი განცხადება სატყეო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილების სახელზე ბორჯომის სატყეო სამმართველოს სამუშაოს ხელფასის აღნიშვნით, განცხადებას თან უნდა ახლდეს ბორჯომის სატყეოს ქვითარი 1.000 მან. საწინდრათ შეტანისა.

უკეთუ დანიშნულ ვადაზე წერილობითი შეჯიბრება არ შესდგება, იმავე დღეს 1 საათზე იქვე მოხდება სიტყვიერი განცხადებითი შეჯიბრება.

დაწვრილებითი პირობის გაგება შეიძლება ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა ბორჯომში ან ბაკურიანში ტყის გამგეებთან.

ნ. 1498 2—2

ტფილისის პოლიტგანათლების განყოფილება

წინადადებას აძლევს ყველა იმ მასწავლებლებს, რომელნიც წარსულ სასწავლო წელში მუშაობდნენ პროფკავშირებს და პოლიტგანათლების წერა-კითხვის არა მცოდნეთა და მცირე მცოდნეთა სკოლებში 16-დან 23 სექტემბრამდე გამოცხადდენ პოლიტგანათლების განყოფილებაში (აღმასკომი ოთახი № 32) რეგისტრაციაში გასატარებლად.

ნ. 1521 2—1 ტფილისის პოლიტგანათლების განყოფილება.

ბუხჰალტერიის სახელმძღვანელო

გამოიცა და იყიდება ა. ინწკირველის მიერ შედგენილი

„ბუხჰალტერიის ზოგადი კურსი“.

წიგნი მოწონებულია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ.

ვინც უშუალოდ გამომცემლისაგან შეიძენს ათ ცალზე მეტს, წიგნები დაეთმობა 20 პროც. ჩამოკლებით.

მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 7. ა. ინწკირველი.

შეღავათიან ფასებში. ვასწავლი ჩამორჩენილ მუშფაკელებს და მოწაფეებს

მათემატიკას

და აგრეთვე 25 სექტემბრის შესასვლელ გამოცდებისათვის უნივერსიტეტში და პოლიტეხნიკ. ინსტ. (განმეორება თეორიისა და ამოცანათ ამოხსნა).

და ვამზადებ მუშფაკზე

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე მომავალ წლის მაისისთვის პლეხანოვის ქ. № 25. (შესავალი ალექსის ქუჩიდან 5) 7—1 ს. 3—6 ს.

1—1 № 20

მასწავლებელი

ს. გრიაზნოვი

ამზადებს მოწაფეებს. მცირე-წლოვანთ (6—10 წ.) იყვანს სრულ პანსიონზე.

ნახვა დღით 3—5 საათამდი

ვერა ოზმაილოვის შესახვევი № 6. შესასვლელი ჩიხიდან ნ. № 1475. 10—8

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ·არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდები ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

25—23

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და კიბოს წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562 13—1

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, მიღება: დილის 7—8 საათ. საღამოს 6—7 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, (ყოფ. დიდი მთავრის) № 72.

№. 2005 25—2.

დაკარგე განათლების მუშაკთა კავშირის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრობის წიგნაკი დავით ვარდენის ძე დუმბაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2025 1—1.

დაკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი, გაცემული მე 2-სამხედრო მაგიდიდან 16 | 1—24 № 1373 გრიგოლ ბუაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2020 1—1.

დაკარგე მეტრიკული მოწმობა № 2891 პავლე პეტროსიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2023 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ამ. კ. რკ. გ. პირველი უბნის დაცვითი რაზმის სახელზე და კავშირის წიგნაკი, მოცემული სად. შორაპნის რკ. გ. ადგილკომიდან. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ანდრო მელიტონის ძე საყვარელიძე. № 2038 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა № 169 | 5238 მოცემული ბორჯომის აღმასკომის მიერ დავით ზერეკიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2039 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ჩხარის სარაიონო აღმასკომისაგან № 3942. ჩაითვალოს გაუქმებულათ. პავლე ჩიქვილაძე. № 2040 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ქაღალდი გაბრიელ გაბრიელის ძე ჩაჩაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2537 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა ანნა ამაშუკელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2038 1—1.

დაკარგე საალრიცხვო ბარათი მიცემული სამხედრო კომისარიატის მიერ მე 12 სამილიციო რაიონიდან გაიკ არაქელის-ძე ჩარუხჩიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2025 1—1.

დაკარგე კან. მანდატი ლენინის რაიონიდან მოცემული № 4424, გაბრიელ სიმონის ძე ლუტიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2026 1—1.

დაკარგე დამზღვევი წიგნაკი ანა კუჩინსკაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2026 1—1.

დაკარგე რეგისტრაციის მოწმობა ბორჯომის აღმასკომიდან მოცემული № 272 არჩილ დავითის ძე ველაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2027 1—1.

დაკარგე მეტრიკა, მოცემული პეტრე-პავლის ეკლესიიდან თვალაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2028 1—1.

დაკარგე საალრიცხვო ბარათი, მოცემული მეორე უბნის სამხედრო მაგიდიდან, პირადობის მოწმობა საჩხერის მილიციის უფროსისგან მოცემული და სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა მიცემული საქართველოს ლაშქრის პოლიტ-განყოფილებიდან. ჩაითვალოს გაუქმებულათ. დავით ქავთარაძე. № 2029 1—1.

დაკარგე რკ. გზ. აღრიცხვის მოწმობა № 568. ჩაითვალოს გაუქმებულათ. თეოფილე კოკაია. № 2031 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა, № 862 ლომენტი აღმასხანის ძე გიორგობიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2030 1—1.

დაკარგე რეგისტრაციის ქაღალდი კოლა ქობელაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2032 1—1.

დაკარგე რეგისტრაციის ქაღალდი ალექსი ჯანიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2033 1—1.

ტირაჟი—15.500

სტამბა „ზარია ვოსტოკას“, სამ. წულუკიძისქუჩა № 4